

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ევროპის საბჭო

EU/COE პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

პროექტი "კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ
ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში"
(PGG II-GE)

ტექნიკური დოკუმენტი

აზარტული თამაშების სექტორისთვის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის
დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ
სახელმძღვანელო მითითებები

*მომზადდა ევროპის საბჭოს ექსპერტმა
ელენ ოლტმა*

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პროგრამა პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის (შემდგომ: PGG) არის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ, და რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო.

PGG ეყრდნობა ორი ორგანიზაციის პოლიტიკურ პრიორიტეტებს აღმოსავლეთ პარტნიორობის კონტექსტში, და ევროსაბჭოს სტანდარტის შექმნის, მონიტორინგისა და თანამშრომლობის მეთოდოლოგიის გამოცდილებას. პროგრამა მიზნად ისახავს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისა და გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისრის მიერ 2014 წლის 1 აპრილს ხელმოწერილი განზრახვის შესახებ დოკუმენტში ასახული ევროპის საბჭოს მონიტორინგისა და საკონსულტაციოს ორგანოების ძირითადი რეკომენდაციების შესრულების გაუმჯობესების ხელშეწყობას.

ტექნიკური დოკუმენტი შედგენილია PGG II-GE პროექტის აქტივობა 2.4.1 ფარგლებში „საზედამხედველო ორგანოების მხარდაჭერა ანგარიშვალდებული პირებისათვის AML/CFT სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების მიზნით“.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

ადამიანის უფლებების და კანონის
უზენაესობის გენერალური დირექტორატის
ეკონომიკური დანაშაულისა და
თანამშრომლობის განყოფილებას
ევროპის საბჭო
67075 სტრასბურგი CEDEX საფრანგეთი
ელ- ფოსტა: tea.zarnadze@coe.int
ტელეფონი: +995 32 291 38 70
ფაქსი: + 995 32 291 38 74
www.coe.int/econcrime

დათქმა:

ტექნიკური დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროგრამის CoE/EU-ს ფარგლებში (პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის): პროექტი "კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში".

მოცემულ დოკუმენტში ასახული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ევროპის საბჭოს ოფიციალური პოზიციას.

სარჩევი

აბრევიატურები	5
1 შემაჯამებელი შინაარსი	6
2 შესავალი საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ	7
3 რისკებზე დამყარებული მიდგომა ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში (AML/CFT)	10
3.1 საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება	10
3.2 კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება	11
3.3 საქმიანობასთან და კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების შესაბამისი რისკ-ფაქტორები	12
3.4 ტექნოლოგიური რისკების შეფასება	20
4 კლიენტის სათანადო შემოწმება, პოლიტიკურად აქტიური პირი და გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.....	21
4.1 კლიენტების იდენტიფიკაცია (ID)	24
4.2 საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაცია (V)	25
4.3 ხასიათი და მიზანი	27
4.4 გარიგებების დეტალური შესწავლა და იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მუდმივი განახლება	27
4.5 მუდმივი მონიტორინგი.....	28
4.6 EDD – დამატებითი ინფორმაცია.....	29
4.7 EDD – იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის ხშირი განახლება.....	29
4.8 EDD/PEP– ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობა.....	29
4.9 EDD/PEP ნებართვის გაცემა ხელმძღვანელი მენეჯმენტის მიერ	30
4.10 გაძლიერებული სათანადო შემოწმება (EDD) - გაძლიერებული მიმდინარე მონიტორინგი.....	30
4.11 გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები - სხვა სათანადო ზომების გატარება.....	31
4.12 მოქმედება სხვა პირის სახელით - უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.....	32
4.13 მოქმედება სხვა პირის სახელით - შესაბამისი კლიენტის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია	32
4.14 იურიდიული პირები და სხვა იურიდიული ფორმის მქონე სტრუქტურები-მფლობელობა და კონტროლი.....	33
4.15 იურიდიული პირები და სხვა იურიდიული ფორმის მქონე სტრუქტურები - ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია	33
5 სკრინინგის სისტემები - პოლიტიკურად აქტიური პირები, სანქციები და უარყოფითი გაშუქება	34
6 უჩვეულო და საეჭვო საქმიანობა	36
6.1 უჩვეულო საქმიანობა	36
6.2 ანგარიშების წარდგენა საეჭვო გარიგებების შესახებ	37
6.3 ინფორმაციის გამჟღავნების (tipping off) აკრძალვა და ანგარიშების წარმდგენების დაცვა.....	38

‘	38	
7		ზოგადი ვალდებულებების შეჯამება 38
	7.1	აღრიცხვის წარმოება..... 38
	7.2	შესაბამისობის სისტემა 39
	7.3	შესაბამისობის ფუნქცია ჯგუფის დონეზე 39
8		ფულის გათეთრების /ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა..... 40
		დანართი I: თვითშეფასების საკონტროლო სია (SELF-ASSESSMENT CHECKLIST) 41

აბრევიატურები

AML/CFT	ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა
AML კანონი	საქართველოს კანონი „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“
CCD	პრევენციული ღონისძიებები
EDD	გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები
FATF	ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი
FMS	საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
ID & V	პირის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია
ML/TF	ფულის გათეთრება/ტერორიზმის დაფინანსება
MLCO	ფულის გათეთრების შესაბამისობის ოფიცერი
NBG	საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ-ი)
NRA	ეროვნული რისკების შეფასება
PEP	პოლიტიკურად აქტიური პირი
RBA	რისკზე დაფუძნებული მიდგომა
VIP	მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება

1 შემაჯამებელი შინაარსი

სათამაშო ბიზნესი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა და ბოლო წლებში ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა. საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის (2019) თანახმად, სექტორი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მაღალი რისკის შემცველია.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს უზრუნველყონ „*ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ*“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსებათან (ML/FT) დაკავშირებული რისკების კონტროლის მიზნით.

ტექნიკური დოკუმენტი შემუშავდა ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) სფეროში არსებული საქართველოს კანონმდებლობისა და ინსტიტუციონალური ჩარჩოს, ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) და ევროკავშირის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ დირექტივების საფუძველზე.

დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია რისკებზე დაფუძნებულ მიდგომაზე (RBA), პრევენციულ ღონისძიებებზე (CDD) (მათ შორის გაძლიერებული იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია) და პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ გამოყენებული ზომებზე (PEP). კონკრეტული თავები შეეხება ანგარიშვალდებული პირების, საზედამხედველო და მარეგულირებელი ინსტიტუტების AML/CFT ვალდებულებებს. დოკუმენტზე დართული თვითშეფასების საკონტროლო სიის მიზანია დაეხმაროს სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს შეაფასონ და მართონ სექტორის შიგნით არსებული რისკები AML/CFT მოთხოვნებთან შემდგომი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმძღვანელოზე მუშაობა დასრულდა ტრეინინგზე „*სათამაშო ბიზნესის სექტორში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) ნორმებთან შესაბამისობა*“ (ოქტომბერი, 2019, თბილისი) მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ღონისძიება განხორციელდა ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის (PGG) პროექტის „*კორუფციის, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში*“ ფარგლებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

2 შესავალი საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ

საქართველოში სათამაშო ბიზნესის სექტორი რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

- „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №611-1013
- „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საკანონმდებლო ჩარჩო ადგენს საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სახის აზარტული და მომგებიანი თამაშობების ჩატარებისათვის ლიზენციებისა და ნებართვების მიღების მოთხოვნებს, ასევე, ლიცენზიებისა და ნებართვების მფლობელების მიერ სათამაშო ბიზნესის სექტორში დადგენილი მოთხოვნების დარღვევისათვის დაწესებული პასუხისმგებლობის ფორმებსა და სანქციებს.

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის (AML კანონი) თანახმად, ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორები წარმოადგენენ მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, რომლებზედაც ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (AML კანონის მე-3 და მე-4 მუხლები).

შემოსავლების სამსახური, რომელიც წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, უფლებამოსილია გასცეს აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვები და ლიზენციები „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ნებართვები ძირითადად გაიცემა 5 წლის ვადით. გამონაკლისია წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა, რომელიც გაიცემა 1 წლის ვადით. ხოლო აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა – სამორინეს მოწყობის ან სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის იმ ნებართვის მოქმედების დარჩენილი ვადით, რომლის საფუძველზედაც გაცემულია აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვა („ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2³ და მე-3 პუნქტები).

სამორინეს მოწყობის შემთხვევაში აუცილებელია ნასამართლეობის შესახებ ცნობის წარდგენა. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-11 და მე-12 პუნქტების თანახმად, აკრძალულია სამორინეს მოწყობის ნებართვის გაცემა პირზე, რომლის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და დამფუძნებელი/პარტნიორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არის მსჯავრდებული ან ნასამართლევნი განზრახ ჩადენილი ეკონომიკური, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულისთვის ან განზრახ ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და მას ნასამართლობა საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით არ აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული. ასევე, აკრძალულია, სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და დამფუძნებელი/პარტნიორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იყოს მსჯავრდებული ან ნასამართლევნი განზრახ ჩადენილი ეკონომიკური, საფინანსო საქმიანობის სფეროში დანაშაულისთვის ან განზრახ ჩადენილი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის და მას ნასამართლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჰქონდეს მოხსნილი ან გაქარწყლებული.

შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია გადაამოწმოს ნებართვის მამიებლის მიერ ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტების უტყუარობა და დააწესოს კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე. ამ მიზნით შესაძლებელია, ნებისმიერ დროს შემოწმდეს ნებართვის მფლობელის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა. შემოწმების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით. სანებართვო პირობების დარღვევისათვის ნებართვის მფლობელს აჯარიმებს შემოსავლების სამსახური ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს სანქციებს სანებართვო/სალიცენზიო პირობების დარღვევისათვის.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, შემოსავლების სამსახური, როგორც ნებართვის გამცემი ორგანო, ახორციელებს კონტროლს მხოლოდ სანებართვო პირობების შესრულების შერჩევითი შემოწმებით. ნებართვის გამცემს არა აქვს უფლება შეამოწმოს ან მოითხოვოს ისეთი ფაქტობრივი გარემოებების წარდგენა, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი ნებართვის მფლობელის მიერ სანებართვო პირობების დაცვასთან.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს საქართველოს AML კანონით დადგენილ მოთხოვნებს, როგორც სანებართვოს პირობას. მხოლოდ აღნიშნული კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მიუთითებს, რომ ნებართვის მფლობელი ვალდებულია „აწარმოოს გაცემულ მოგებათა რეგისტრაცია, შექმნას ელექტრონული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ჩანაწერი საკმაოდ ზოგადია და არ მოიცავს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ყველა ვალდებულების შესრულებას, გულისხმობს მხოლოდ, აღნიშნული სამსახურისათვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფინანსური დაზვერვის სამსახურს, უფლებამოსილია გაანალიზოს ანგარიშვალდებული პირების მიერ წარდგენილი ანგარიშები და სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია (დოკუმენტები) და ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა დანაშაულის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის გაჩენის შემთხვევაში თავისი ანალიზის შედეგები გაუზიაროს საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, შემოსავლების სამსახურს ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (AML კანონის მუხლი 14(1)).

ფინანსური მონიტორინგის სამსახური ვალდებულია გამოსცეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს ანგარიშვალდებული პირების მიერ

ანგარიშების წარდგენის წესებსა და პირობებს და დარწმუნდეს, რომ ანგარიშვალდებული პირი ინფორმირებულია მის მიერ წარდგენილი ანგარიშგების AML კანონისა და სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, აგრეთვე, ანგარიშგების საფუძველზე სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგებზე.

სამსახური, ასევე, უფლებამოსილია გაანალიზოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების მიზნით ჩადენილი დანაშაულების მეთოდები და ანგარიშვალდებული პირებისათვის შეიმუშაოს რისკების ინდიკატორები საექვო გარიგებების აღმოჩენის მიზნით.

ამასთან AML კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საზედამხედველო ორგანო ვალდებულია გამოსცეს სახელმძღვანელო მითითებები და შეიმუშაოს რეკომენდაციები ანგარიშვალდებული პირის მიერ AML კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულების საკითხებზე.

AML კანონის მე-11 მუხლის მე-3(ა) პუნქტის თანახმად, ლატარიის ორგანიზატორი, აზარტული ან მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები ფულადი სახსრების მიღების, ასევე, მოგების ან ფულადი სახსრების გაცემისას, თუ გარიგების თანხა/ ღირებულება ან დაკავშირებული გარიგებების ჯამური თანხა/ჯამური ღირებულება 5 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 5 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება

3 რისკებზე დამყარებული მიდგომა ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში (AML/CFT)

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) პირველი რეკომენდაციის შესაბამისად, ქვეყანა ვალდებულია გამოიყენოს რისკებზე დამყარებული მიდგომა, რათა უზრუნველყოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის (AML/CFT) მიზნით არსებული ღონისძიებების ეროვნულ დონეზე გამოვლენილ რისკებთან შესაბამისობა. ანგარიშვალდებულმა პირებმა რისკებზე დამყარებული მიდგომის (RBA) გამოყენებით უნდა ჩაატარონ პრევენციული ღონისძიებები (CDD). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს შეზღუდული რესურსების მიმართვას შედარებით უფრო მაღალი რისკის სფეროებზე.

3.1 საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის (AML კანონი) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით ანგარიშვალდებული პირი, თავისი საქმიანობის ხასიათისა და მოცულობის გათვალისწინებით, ვალდებულია დაწეროს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასებისა და მართვის ეფექტიანი სისტემა, „საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება“.

AML კანონის მე-8 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებით, საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება უნდა მოიცავდეს შემდეგი შესაბამისი რისკ-ფაქტორების განხილვასაც:

- ა. კლიენტის, მათ შორის, ბენეფიციარი მესაკუთრის ადგილსამყოფელი, გეოგრაფიული არეალი და საქმიანობის არსი;
- ბ. პროდუქტის, მომსახურების ან მისი მიწოდების საშუალებები;
- გ. გარიგების ტიპები და სხვა რისკ-ფაქტორები; და
- დ. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში (NRA ანგარიში) და სამოქმედო გეგმა, ასევე საზედამხედველო ორგანოს ან საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (FMS) მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო მითითებები და რეკომენდაციები.

(ა)-(დ) პუნქტების შესახებ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ ნაწილი 2.3 (შესაბამისი რისკ-ფაქტორები).

AML კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში საზედამხედველო ორგანოს დაუსაბუთოს, რომ რისკები სათანადოდ შეაფასა და მათი მართვის მიზნით ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელა.

საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება უნდა მოიცავდეს დარგის სპეციალისტის, მაგალითად ფულის გათეთრების შესაბამისობის ოფიცრის (MLCO) მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და დამტკიცებული უნდა იყოს ხელმძღვანელობის მიერ.

შეფასების გადახედვა უნდა მოხდეს არანაკლებ წელიწადში ერთხელ და განახლდეს არსებული რისკ-ფაქტორების არსებითი ცვლილებების შემთხვევაში.

შესაბამისობის დემონსტრირების მიზნით, შეფასება უნდა მოიცავდეს ვერსიის კონტროლს, რომელშიც დეტალურადაა მოცემული განხორციელებული გადასინჯვის თარიღები და ნებისმიერი განხორციელებული განახლების დეტალები.

3.2 კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება

AML კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტით ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია შეაფასოს კლიენტთან დაკავშირებული ML/TF რისკები და განსაზღვროს კლიენტის რისკის დონე საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე და გარიგების დადებამდე, რომელიც 5000 ლარს აღემატება¹, „კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება“.

(ა)-(დ) პარაგრაფებში განსაზღვრული რისკ-ფაქტორები, როგორც ეს მითითებულია ნაწილში 2.1 (საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება) და დეტალურად მოცემულია ნაწილში 2.3 (შესაბამისი რისკ-ფაქტორები), ასევე ვრცელდება კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასებაზეც.

AML კანონის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში საზედამხედველო ორგანოს დაუსაბუთოს, რომ რისკები სათანადოდ შეაფასა და მათი მართვის მიზნით ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელა.

კლიენტთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცესი და პროცედურა შემუშავებული უნდა იქნეს აღნიშნული დარგის ექსპერტების, მაგალითად ფულის გათეთრების შესაბამისობის ოფიცრების მიერ (MLCO). თუმცა, იგი შეიძლება განახორციელონ პერსონალის წევრებმა. რეკომენდებულია, რომ ხელმძღვანელობამ გადახედოს და გასცეს იმ კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების ნებართვა, რომლებიც პერსონალის წევრების მიერ მაღალი რისკის დონედ იქნა შეფასებული.

კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების შედეგს წარმოადგენს თითოეული კლიენტის დაბალი, საშუალო და მაღალი რისკის დონეებისთვის მიკუთვნება და აქედან გამომდინარე, სათანადო შემოწმების დონის განსაზღვრა.

რისკების მარკენბელი	აღწერა	CDD/EDD
უმნიშვნელო (negligible)	კლიენტები, რომლებიც ახორციელებენ იშვიათ დაკავშირებულ გარიგებებს (occasional transactions), რომლებიც 5000 ლარს არ აღემატებიან.	არ ვრცელდება კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება. არ ვრცელდება CDD/EDD. აუცილებელია გონივრული ზომების მიღება ნებისმიერი საქმიანობის გამოსავლენად, რომელიც აღნიშნულ ზღვარს სცილდება.
დაბალი (low)	აღნიშნული მარკენბელი გამოიყენება მხოლოდ იმ კლიენტების მიმართ, რომელთა საქმიანობაც არ სცილდება მცირე მასშტაბებს და სადაც არ არის წარმოდგენილი რისკის	შესაძლებელია კლიენტის მიმართ გამარტივებული პროცედურული ღონისძიებების გამოყენება, რომელიც მოიცავს კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაციას საქმიანი ურთიერთობების დამყარების ან დაკავშირებული გარიგებების

¹ გათვალისწინებულია მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით და ვრცელდება ერთჯერად გარიგებაზე ან დაკავშირებულ გარიგებებზე

	<p>მაღალი მაჩვენებლები (იხ. ნაწილი 2.3).</p> <p>მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური პირი (PEP) არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებულ პირად.</p>	<p>(occasional transactions), განხორციელებისთანავე, გარიგების/ურთიერთობის ბუნების და მიზნების და შედარებით იშვიათი მუდმივი მონიტორინგის გათვალისწინებით.</p>
ზომიერი (moderate)	<p>აღნიშნული მაჩვენებელი ვრცელდება კლიენტებზე, რომლებიც ცდებიან მცირე მასშტაბებს ან გარკვეულწილად წარმოადგენენ მაღალი რისკის მაჩვენებლებს. თუმცა ეს მაჩვენებელი საკმარისი არ არის კლიენტის მაღალი რისკის დონის მიკუთვნებისათვის.</p>	<p>გამოიყენება კლიენტის სათანადო შემოწმება (CDD). გამარტივებული ღონისძიებები დაუშვებელია.</p>
მაღალი (high)	<p>მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნებიან კლიენტები, რომლებიც ცხოვრობენ მაღალი რისკის იურისდიქციებში ან ეწევიან უჩვეულო საქმიანობას.</p> <p>გათვალისწინებული უნდა იქნას იმ კლიენტების მაღალი რისკის კატეგორიას მიკუთვნება, რომლებიც სხვა შესაბამის რისკ-ფაქტორებს ავლენენ.</p>	<p>ვრცელდება გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები (EDD).</p>

3.3 საქმიანობასთან და კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების შესაბამისი რისკ-ფაქტორები

AML კანონის მე-8 მუხლით სავალდებულოა (ა)-(დ) პარაგრაფებში განსაზღვრული რისკ-ფაქტორების გათვალისწინება:

- ა. კლიენტის, მათ შორის, ბენეფიციარი მესაკუთრის ადგილსამყოფელი, გეოგრაფიული არეალი და საქმიანობის არსი;

ადგილსამყოფელი და გეოგრაფიული არეალი:

ცნობილია, რომ ზოგიერთ ადგილსა და გეოგრაფიულ არეალში ML/FT რისკი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვაგან. როგორც მინიმუმ, ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა მოახდინონ მათი მაღალი რისკის კატეგორიისათვის მიკუთვნება. შესაბამისად, კლიენტებთან, რომლებიც ცხოვრობენ იურისდიქციებში, სადაც FATF-ის განსაზღვრებით ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სისტემას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია, გამოყენებული უნდა

იქნეს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად ამტკიცებს ასეთი იურისდიქციების ნუსხას (AML კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტი). ანგარიშვალდებულმა პირებმა, ასევე, მხედველობაში უნდა მიიღონ ფინანსური სანქციებიც.

ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა გამოიყენონ ინფორმაციის სხვა ხელმისაწვდომი წყაროები, განსაკუთრებით, იმ იურისდიქციების მიმართ, საიდანაც მათი გარიგებების ან სამომხმარებლო ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილი მომდინარეობს. წყაროები მოიცავს ეროვნული რისკების შეფასებას და FATF-ის (ან FATF-ის სტილის რეგიონალურ ორგანოს) ანგარიშებს იურისდიქციებისა და ისეთ საერთაშორისოდ აღიარებული მაჩვენებლების შესახებ, როგორცაა საერთაშორისი გამჭვირვალობას კორუფციის აღქმის ინდექსი და ბაზელის ფულის გათეთრების აღკვეთის ინდექსი.

მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტებისთვის, ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გარიგებების გეოგრაფიული წარმომავლობა და მათი დანიშნულების ადგილი, ონლაინ აზარტული თამაშების შემთხვევაში, თუ საიდან არის შემოსული კლიენტი (მაგ. IP მისამართის შემოწმება).

საქმიანობის არსი:

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კლიენტის საქმიანობის ხასიათიც. ამის შესახებ შეიძლება ცნობილი არ იყოს საქმიანი ურთიერთობის დაწყებისთანავე ან დაკავშირებული გარიგების განხორციელებამდე. შესაბამისად, ეს გარემოება უნდა გადაიხედოს გარიგებების დეტალურად შესწავლისას (იხ. ნაწილი 3.4) ან საქმიანი ურთიერთობის მუდმივი მონიტორინგის განხორციელების დროს (იხ. ნაწილი 3.5).

საქმიანობის ხასიათი	მახასიათებლები	რისკი ²	ქმედება
„სტანდარტული“ ანუ „საცალო კლიენტი“	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური პირი; • გართობის მიზნით მოთამაშე; • შეუძლია გამოიყენოს აზარტული თამაშების ნებისმიერი პროდუქტი. 	<p>დაბალი/ზომიერი</p> <ul style="list-style-type: none"> • დაბალია, თუკი კლიენტის სათანადო შემოწმებით დადგენილ ზღვარს არ აღემატება; • ზომიერია, თუკი კლიენტის სათანადო შემოწმებით დადგენილ ზღვარს აღემატება. 	<p>CDD კლიენტის შესახებ მოიცავს მუდმივ მონიტორინგს</p>
მსხვილი მოთამაშე ანუ „VIP“	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური პირი; • გართობის მიზნით მოთამაშე არის მოთამაშე, რომლის საქმიანობაც გაცილებით აღემატება საშუალო კლიენტის საქმიანობას; • ხშირად იყენებს აზარტული თამაშების პროდუქციის ფართო სპექტრს. 	<p>მაღალი</p> <ul style="list-style-type: none"> • მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ანგარიშვალდებული პირების მოგებაში, შესაბამისად, შეიძლება გადაჭარბებული გავლენა ჰქონდეს; • თუ შეძლებულია, დიდი ალბათობით პოლიტიკურად აქტიური პირი (PEP) იქნება • შეიძლება წარმოადგენდეს დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალს ან/და აზარტული თამაშების პრობლემას. 	<p>CDD და EDD კლიენტის შესახებ მოიცავს გაძლიერებულ მონიტორინგს</p>

² როდესაც არ არსებობს სხვა მაღალი რისკფაქტორები

<p>ორგანიზებული გასართობი ტურნე (junket)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკურ პირთა ჯგუფი; • გასართობი ტურნეს მოწყობის აგენტი აწყობს ორგანიზებულ სათამაშო ტურნეებს მსხვილი მოთამაშეებისთვის/VIP კლიენტებისთვის. 	<p>მაღალი</p> <ul style="list-style-type: none"> • კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან ; • ხელს უწყობს ნაღდი ფულის ტრანსსასაზღვრო მიმოქცევას; • ხელს უწყობს ვალის აკუმულირებას და შემდგომ გამოძალვას. 	<p>CDD და EDD კლიენტებისა და აგენტებთან დაკავშირებით; მოიცავს გაძლიერებულ მონიტორინგს.</p>
<p>„აზარტული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური პირი; • ითამაშებს ინტელექტუალურ თამაშებს და არა აზარტულ თამაშებს; • მეტისმეტად დახელოვნებული, უფრო მეტად წარმატებული, ვიდრე სტანდარტული/საცალო კლიენტები ან მსხვილი მოთამაშეები/ VIP კლიენტები; • უფრო მეტ დროს უთმობს აზარტულ თამაშებს, ვიდრე სხვა კლიენტები . 	<p>ზომიერი</p> <ul style="list-style-type: none"> • რისკი უფრო დაბალია, ვიდრე მსხვილი მოთამაშეების/VIP კლიენტების შემთხვევაში, რადგან ანგარიშვალდებული პირი, ჩვეულებრივ, მოგებას იღებს საკომისიო მოსაკრებლიდან და არა სათამაშო დაწესებულების მიერ მიღებული დანაკარგებიდან. • შეიძლება რთული იყოს ქონების წარმომავლობის დადგენა (სხვა ადგილზე მოგებებიდან). 	<p>CDD კლიენტის შესახებ მოიცავს მუდმივ მონიტორინგს</p>
<p>აგენტი (სხვისი სახელით მოქმედი პირი)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ფიზიკური პირი; • შემოსავალს იღებს სხვების სახელით ფსონების დადებით; • შეიძლება არსებობდეს მოქმედ პირთა ქსელი; 	<p>მაღალი</p> <ul style="list-style-type: none"> • შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ნამდვილი კლიენტის და სახსრების წარმომავლობის დასაფარად; 	<p>CDD და EDD მოქმედი პირის შესახებ მოიცავს მუდმივ მონიტორინგს CDD მოქმედი პირის კლიენტების შესახებ</p>

	<ul style="list-style-type: none"> საქმიანობა უფრო მაღალია, ვიდრე საშუალო კლიენტის შემთხვევაში. 	<ul style="list-style-type: none"> გარიგებების გაერთიანების შემთხვევაში, გამოწვევები აღრიცხვის წარმოებასა და გამოძიებაში. 	<p>(კლასიფიცირებული, როგორც ბენეფიციარი მესაკუთრეები) - უნდა განხორციელდეს ანგარიშვალდებული პირის და არა მოქმედი პირის მიერ. (მუხ. 16) მოიპოვოს კლიენტის სახელით მოქმედი პირის უფლებამოსილება (მუხ. 10.2)</p>
<p>„აფილირებული პირი“</p>	<ul style="list-style-type: none"> ფიზიკური პირი; საკომისიოს იღებს კლიენტების ანგარიშვალდებულ პირებთან წარდგენით ან ფასიანი საშუალებების არაოფიციალური გადატანის მომსახურებით.³ როგორც წესი, გამოიყენება ისეთი კლიენტების მიერ, რომლებსაც თამაშის სურვილი აქვთ, მაგრამ არ გააჩნიათ საჭირო სახსრები შესაბამის საგადახდო მექანიზმში; 	<p>დაბალი/ზომიერი/მაღალი</p> <ul style="list-style-type: none"> დაბალია, თუკი მხოლოდ აფილირებული პირია მარკეტინგის თვალსაზრისით; ზომიერია, თუ აზარტული თამაშების ანგარიშები გამოიყენება სხვა ანგარიშებზე გადასარიცხად, სადაც კარგი კონტროლია დაწესებული; მაღალია, თუ აზარტული თამაშების ანგარიშები გამოიყენება სხვა ანგარიშებზე გადასარიცხად, სადაც არ არის კარგი კონტროლი. 	<p>CDD ან EDD კლიენტის შესახებ მოიცავს მუდმივ მონიტორინგს ან გაძლიერებულ მონიტორინგს.</p>

³ აზარტული თამაშების ოპერატორებს არ აქვთ საგადახდო გადარიცხვების განხორციელების ნებართვა, თუმცა შეიძლება არსებობდეს ფასიანი საშუალებების (მაგ. კრედიტების, მონეტების) გადატანის შესაძლებლობა.

	<ul style="list-style-type: none"> • შეიძლება, ასევე, გამოიყენოს ანგარიში საკუთარი სათამაშო მიზნებისათვის. 		
<p>„ბიზნესებს შორის“</p>	<ul style="list-style-type: none"> • იურიდიული პირი (მაგ. კომპანია) ან სამართლებრივი სტრუქტურა (მაგ. ტრასტი); • როგორც წესი, მისი ნახვა მხოლოდ ონლაინ თამაშებშია შესაძლებელი; • შეიძლება მოიცავდეს ჰეჯირებას ან იმ კლიენტის გადამისამართებას, რომელიც დარეგისტრირებულია ერთ კომპანიაში და იყენებს სხვა კომპანიის თამაშებს. 	<p>მაღალი</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორც წესი, ძალიან მაღალი ღირებულების გარიგებები; • დაშვებულია მესამე პირზე მინდობა, თუ ბიზნეს კლიენტზე ზედამხედველობა ხორციელდება FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისად (მუხ. 16). 	<p>CDD ან EDD ბიზნეს კლიენტის შესახებ</p> <p>მოიცავს გაძლიერებულ მონიტორინგს</p> <p>მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლას (მუხ. 10.3)</p> <p>CDD/EDD ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ</p>

ბ. მიწოდებული პროდუქტის და გაწეული მომსახურების სახეები

ზოგიერთი სათამაშო პროდუქტისა და მომსახურების შემთხვევაში ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა შემთხვევებში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოებები:

- აზარტულ თამაშებს განეკუთვნება შემთხვევითობაზე დამოკიდებული აზარტულ თამაშები (მაგ. ლატარია), სამაგიდო თამაშები (მაგ. პოკერი), ან რაიმე ღონისძიების შედეგებზე ფსონების დადება (მაგ. სპორტულ თამაშებზე ფსონების დადება). კლიენტმა შეიძლება ბოროტად ისარგებლოს სამაგიდო თამაშებით წინასწარგანზრახული წაგების მეშვეობით (chip damping პოკერში) და სპორტული ღონისძიებებით, სადაც დაბალი ლიგის მატჩები განსაკუთრებით მოწყვლადია კორუფციისა და ჩაწყობილი მატჩების მიმართ;
- აზარტული თამაშები, რომლებიც გულისხმობენ სათამაშო დაწესებულებების ან სხვა კლიენტების წინააღმდეგ (ერთმანეთის წინააღმდეგ/peer to peer) თამაშს. Peer to peer თამაში, განსაკუთრებით კერძო გარემოში, სადაც კლიენტები ერთმანეთს იცნობენ (მაგ. პოკერის VIP ოთახი) უფრო მაღალი რისკის მატარებელია;
- მოგების ანაზღაურება შესაძლებელია საწარმდგენლო დოკუმენტის ფორმით. საწარმდგენლო დოკუმენტი აღნიშნავს ისეთ დოკუმენტს, რომლის ანაზღაურებაც შესაძლებელია მიუხედავად იმისა, თუ ვინ ფლობს ამ დოკუმენტს და ბრუნვადია მხოლოდ ტრანსფერის მეშვეობით. აზარტული თამაშების შემთხვევაში შეიძლება მოიცავდეს პოკერის მონეტებს და ფსონების კუპონს;
- კლიენტს შეუძლია ფსონის დადება ყველა შესაძლო შედეგზე, განსაკუთრებით, თუ იგი კომბინაციაშია საწარმდგენლო დოკუმენტებთან ან თანხის განთავსების და მოგების განაღდების სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შესაძლებლობასთან.

ა. გარიგებებისა და მიწოდების საშუალებები

გარკვეული გარიგებებისა და მიწოდების საშუალებების შემთხვევაში ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკი გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა შემთხვევებში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული

ტრანზაქციების ტიპები:

- თანხის განთავსება და განაღდება ნაღდი ფულით არის შესაძლებელი თუ სხვა ანონიმური წყაროს/დანიშნულების ადგილის მეშვეობით, რაც ანგარიშვალდებული პირისთვის ართულებს ფულადი სახსრების ან ქონების წარმომავლობის დადგენას;
- არის თუ არა შესაძლებელი თანხის განთავსება ან/და განაღდება ისეთი მექანიზმის გამოყენებით, რომელიც ნაკლებად დეტალური შესწავლისა და კონტროლის საგანია, ვიდრე ტრადიციული ფინანსური სისტემები.

მაგალითები მოიცავს წინასწარი გადახდის ბარათებს, ელექტრონულ საფულეებს და ვირტუალურ ვალუტას;

- **შეუძლია თუ არა კლიენტს თანხა გაანაღდოს დეპოზიტის განთავსებისთვის გამოყენებული მექანიზმისგან განსხვავებული მექანიზმით.** განსაკუთრებულად მაღალ რისკს შეიცავს ისეთი შემთხვევები, როდესაც გამოიყენება დეპოზიტის განთავსების მრავლობითი წყაროები ან როდესაც კლიენტს თანხის განაღდება შეუძლია თამაშის მცირე აქტივობით ან თამაშის გარეშე;
- **შესაძლებელია თუ არა სწრაფი, განმეორებითი და მცირე გარიგებები.** ამგვარი გარიგებების გამოყენება შესაძლებელია კლიენტის სათანადო შემოწმების ან ანგარიშვალდებულების გვერდის ავლის მიზნით (მაგალითად, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ანგარიშგების მოთხოვნები) და შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული ფულის კურიერების მიერ (money mule);
- **კლიენტებს შორის ფასიანი საშუალებების⁴ გადატანაა ნებადართული.** ისეთ ონლაინ თამაშებში, როგორც პოკერია, კლიენტებს ზოგჯერ შეუძლიათ ფასიანი საშუალებების ერთმანეთისთვის გადაცემა, ხშირად „სესხის“ სახით, იმისათვის, რომ ერთმანეთს დაეხმარონ არ დატოვონ თამაში. აღნიშნული შეიძლება არასათანადოდ იქნეს გამოყენებული რეგულირებადი ფინანსური სისტემის გარეთ ფასიანი საშუალებების გადასაცემად (რომელიც მოგვიანებით შეიძლება ნაღდ ფულში გაიცვალოს), განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ კლიენტები სხვადასხვა იურისდიქციებში იმყოფებიან.

მიწოდების ფორმები:

- **ქმედება ხორციელდება პირისპირ ურთიერთობის (non face-to-face) გარეშე.** ამან შეიძლება გაართულოს კლიენტის ვინაობის, ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის დადგენა. იგი ონლაინ აზარტული თამაშების ფორმას იღებს, ფსონების დადების თუ დეპოზიტების განთავსების ტერმინალების გამოყენებით და აქტიურად ხორციელდება სხვისი სახელით მოქმედი პირების მეშვეობით.
- **კლიენტს შეუძლია გარიგებები დადოს რამდენიმე ადგილას, მაგალითად, კაზინოებში ან ტოტალიზატორებში, რომლებიც ჯგუფის ნაწილს წარმოადგენენ.** ეს ზრდის დანაწევრებული გადახდებისა და ფულის კურიერების (money mule) ალბათობას. მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგის სისტემების სუბიექტებმა შეაგროვონ და განახორციელონ ისეთი გარიგებების მონიტორინგი, რომლებიც ყველა ლიცენზირებული საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება. ონლაინ აზარტული თამაშების განმახორციელებელი სუბიექტებისთვის ეს უნდა მოიცავდეს გარიგებებს, რომლებიც ხორციელდება ყველა ლიცენზირებულ ბრენდთან/ფსონების დასაღებ ვებსაიტებთან.

⁴ აზარტული თამაშების ოპერატორებს არ აქვთ საგადახდო გადარიცხვების განხორციელების ნებართვა, თუმცა შეიძლება არსებობდეს ფასიანი საშუალებების (მაგ. კრედიტების, მონეტების) გადატანის შესაძლებლობა.

- **კლიენტს შეუძლია რამდენიმე ანგარიშის გამოყენება.** ეს წარმოადგენს დანაწევრებული გადახდებისა და ფულის კურიერების (money mule) მიერ ბოროტად გამოყენების კიდევ ერთ მექანიზმს.
- **ქმედება ხორციელდება დროის ფაქტორის გათვალისწინებით.** მაგალითად, როდესაც კლიენტი ცდილობს ფსონი ისეთ სპორტულ ღონისძიებაზე დადოს, რომელიც ეს-ესაა უნდა შედგეს. ამ შემთხვევაში სწრაფმა მოქმედებამ შეიძლება თანამშრომლებზე ზეგავლენა მოახდინოს და ვერ შეძლონ საქმიანობის ისე საფუძვლიანად შესწავლა, როგორც აუჩქარებლობის შემთხვევაში.

გ. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში (NRA) და სამოქმედო გეგმა

AML კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ უნდა შეიმუშაოს, დაამტკიცოს და შეასრულოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში (რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში) და სამოქმედო გეგმა. რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის საჯაროდ ხელმისაწვდომი ვერსია ანგარიშვალდებულ პირებს სასარგებლო ინფორმაციას მიაწოდებს. ეს ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც საქმიანობის რისკების შეფასების განხორციელების დროს, ასევე კლიენტთან დაკავშირებული რისკების და ტექნოლოგიური რისკების შეფასების პროცესისა და პროცედურის შემუშავებისას.

3.4 ტექნოლოგიური რისკების შეფასება

AML კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად ახალი ტექნოლოგიის, პროდუქტის, მომსახურების ან მისი მიწოდების საშუალების დანერგვამდე ან ბიზნეს პრაქტიკაში სხვა არსებითი ცვლილების განხორციელებამდე ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია შეაფასოს ასეთ ცვლილებასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები, „ტექნოლოგიური რისკების შეფასება“.

ტექნოლოგიური რისკების შეფასების პროცესი და პროცედურა უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს აღნიშნული დარგის ექსპერტების, მაგალითად ფულის გათეთრების შესაბამისობის ოფიცრების და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ. ხელმძღვანელობისთვის კარგ პრაქტიკას წარმოადგენს მათი განხილვა და დანერგვამდე ნებართვის გაცემა, იმ შემთხვევებში, თუ შეფასებით დგინდება, რომ არსებობს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების გაზრდილი რისკები.

ტექნოლოგიური რისკების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს 2.3 ნაწილში წარმოდგენილ ფაქტორებს (საქმიანობასთან და კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების შესაბამისი რისკ-ფაქტორები) და იმას, კონკრეტული ტექნოლოგია:

- უწყობს თუ არა ხელს დიდი ოდენობით ფულადი თანხების მიმოქცევას;
- ქმნის თუ არა ფასიანი საშუალებების გადაცემის მექანიზმს;
- ქმნის თუ არა ტრანსსასაზღვრო ფუნქციონალურობას;
- ზრდის თუ არა ანონიმურობას;
- იძლევა თუ არა მესამე პირის ნდობის შესაძლებლობას ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის კონტროლის ნებისმიერ ასპექტებთან მიმართებაში;
- არსებობს თუ არა იგი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ცნობილ ტექნოლოგიებში.

4 კლიენტის სათანადო შემოწმება, პოლიტიკურად აქტიური პირი და გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები

კლიენტის სათანადო შემოწმება(CDD) არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმ ღონისძიებების აღწერისთვის, რომელთა გამოყენებაც აუცილებელია კლიენტების მიმართ AML კანონის მე-10 (პრევენციული ღონისძიებები), მე-12 (პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესი) და მე-13 მუხლების (ბენეფიციარი მესაკუთრე) შესაბამისად.

დამატებითი მოთხოვნები უნდა გავრცელდეს პოლიტიკურად აქტიურ პირებზე (მოთხოვნები PEP-ის მიმართ) და მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტებზე (EDD). სახელმძღვანელო მითითებები იმის დადგენის შესახებ, არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი, წარმოდგენილია წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-4 ნაწილში.

EDD აღწერს მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების მიმართ და საეჭვო საქმიანობის შემთხვევაში ჩასატარებელ ღონისძიებებს (იხ. ნაწილი 5.1). რისკების შეფასებაზე დაფუძნებული ნამდვილად ეფექტიანი მიდგომის შემუშავების მიზნით, თითოეული შემთხვევის განხილვა უნდა მოხდეს ინდივიდუალურად, კონკრეტული გამოვლენილი რისკების აღმოფხვრის მიზნით მიღებულ ღონისძიებებთან ერთობლიობაში.

AML კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ანგარიშვალდებულ პირს ეკრძალება ერთჯერადი გარიგების შესრულება, საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება, თუ არ სრულდება აღნიშნული მოთხოვნები. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს, იწვევს თუ არა აღნიშნული ეჭვს.

უნდა აღინიშნოს, რომ AML კანონის 27-ე მუხლით სავალდებულოა საქმიანობის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის შენახვა საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ნაწილში 8.1.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მოთხოვნების შეჯამება, რომლებიც თითოეულ შემთხვევაში გამოიყენება. დამატებითი დეტალები აღნიშნული მოთხოვნების შესახებ წარმოდგენილია ამ ნაწილში.

კლიენტის ტიპი	მოთხოვნები										
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
	იდენტიფიკაცია	ვინაობის ვერიფიკაცია	ბუნებისა და მიზნის დადგენა	გარიგებების დეტალური შესწავლა და იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის მუდმივი განახლება	მუდმივი მონიტორინგი	დამატებითი ინფორმაცია	იდენტიფიკაცია - ვერიფიკაციის უფრო ხშირი განახლება	ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობა	ნებართვის გაცემა ხელმძღვანელობის მიერ	გამლიერებული მუდმივი მონიტორინგი	სხვა დონის მიერ გათვალისწინება
10.1.ა	10.1.ა	10.1.გ ⁵	10.5	10.1.დ	18.1.ა, გ, ე	18.1.ბ	18.1.ე 21.3.ბ	18.1.დ / 21.3.ა	18.1.ვ	18.2	
ერთჯერადი, 5000 ლარამდე (მუხ.11.6.ა)											
ერთჯერადი, 5000 ლარს ზემოთ (მუხ.11.6.ა)	✓	✓		✓							
დაბალი/ზომი რისკის საკმიანი ურთიერთობა	✓	✓	✓	✓	✓						
ნებისმიერი PEP	✓	✓	✓	✓	✓			✓	✓		
ნებისმიერი მაღალი რისკი (მათ შორის მაღალი)	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

⁵ ეს შეიძლება ვრცელდებოდეს დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტებზე.

რისკის დონეს მიკუთვნებული PEP)											
--------------------------------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

სცენარი	დამატებითი მოთხოვნები, რომლებიც გარკვეულ სცენარებზე ვრცელდება			
	12 უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება	13 იმ კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, ვისი სახელითაც მოქმედებენ	14 მფლობელობისა და კონტროლის შესწავლა	15 ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია
	10.2	10.2	10.3	10.1.ბ
კლიენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით	✓	✓		
კლიენტი იურიდიული პირი ან სამართლებრივი სტრუქტურა (legal arrangement)	✓		✓	✓

4.1 კლიენტების იდენტიფიკაცია (ID)

AML კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტითა და მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია საქმიანის ურთიერთობის დამყარებამდე ან 5000 ლარზე მეტი ღირებულების გარიგების (ერთჯერადი ან დაკავშირებული გარიგებები) განხორციელებამდე მოახდინოს კლიენტების იდენტიფიკაცია.

კლიენტის იდენტიფიკაციამდე, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს გარკვეული ინფორმაცია. ეს ინფორმაცია განსხვავდება იმის მიხედვით, კლიენტი ფიზიკური პირია, იურიდიული პირი (მაგ. კომპანია) თუ სამართლებრივი სტრუქტურა (მაგ. ტრასტი). აღნიშნული ინფორმაციით დგინდება პირი, როგორც უნიკალური პიროვნება, რომლის არსებობის ვერიფიკაციაც შესაძლებელია.

პირის ტიპი	მინიმალური საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ⁶
ფიზიკური პირი	<ul style="list-style-type: none"> სახელი და გვარი დაბადების თარიღი საცხოვრებელი მისამართი
იურიდიული პირი	<ul style="list-style-type: none"> სუბიექტის დასახელება იურიდიული პირის ტიპი დაფუძნების თარიღი და ქვეყანა ოფიციალური საიდენტიფიკაციო ნომერი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია შესაბამისი კლიენტის, ნებისმიერი პირის შესახებ, რომელსაც განზრახული აქვს იურიდიული პირისა და ბენეფიციარი მესაკუთრეების სახელით მოქმედება
სამართლებრივი სტრუქტურა (Legal arrangement)	<ul style="list-style-type: none"> სტრუქტურის დასახელება სტრუქტურის ტიპი ოფიციალური საიდენტიფიკაციო ნომერი, არსებობის შემთხვევაში საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ნებისმიერი დაკავშირებული ფიზიკური პირის, მათ შორის ბენეფიციარი მესაკუთრეების (ცნობილი ბენეფიციარები, მაკონტროლებელი მხარეები, მათ შორის მინდობილი მესაკუთრეები (trustee) ან სხვა პირების შესახებ, რომლებიც აკონტროლებენ ან გააჩნიათ კლიენტის საქმიანობის მართვა (მაგ. მეურვეები, მინდობილი თანამესაკუთრეები (co-trustee), ან სხვა მესამე პირები, მათ შორის, მარწმუნებელი (settlor)) მინდობილი მესაკუთრეების ან სხვა პირების საფოსტო მისამართი, რომლებიც აკონტროლებენ კლიენტებს ან გააჩნიათ მათი კონტროლის უფლებამოსილება (როგორც ზემოთაა მითითებული).

⁶ დამატებითი ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება დახმარება გაუწიოს ვინაობის დადგენასა და ვერიფიკაციაში, მოცემულია ნაწილში 3.11

4.2 საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაცია (V)

AML კანონის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) ქვეპუნქტითა და მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის (ა) ქვეპუნქტით, ანგარიშვალდებული პირი ასევე ვალდებულია მოახდინოს საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაცია დამოუკიდებელი სანდო წყაროების გამოყენებით საქმიანის ურთიერთობის დამყარებამდე ან 5000 ლარზე მეტი ღირებულების გარიგების (ერთჯერადი ან დაკავშირებული გარიგებები) განხორციელებამდე. დაბალი რისკების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის განხორციელება შეიძლება დასრულდეს საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, თუ ეს აუცილებელია კლიენტის მომსახურების შეფერხების თავიდან ასაცილებლად (AML კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი).

კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაციას ორმაგი დატვირთვა აქვს: დადასტურება, რომ ასეთი პიროვნება არსებობს და რომ კლიენტი ნამდვილად ის პიროვნებაა, რომელიც თავად დაასახელა. ეფექტიანი იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცესი მნიშვნელოვანია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ანგარიშვალდებული პირების მომსახურებები ბოროტად არ იქნეს გამოყენებული თაღლითების მიერ. ასევე, გამოვლინდეს ნებისმიერი საეჭვო ქმედება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რეალურ პიროვნებასთან და შესაბამისად, მათ შესახებ ეცნობოს ხელისუფლებას.

დოკუმენტაცია ფიზიკური პირებისათვის:

ვინაობის ვერიფიკაცია უნდა მოხდეს სახელმწიფოს მიერ გამოცემული ფოტოგრაფიული საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (მაგ. პასპორტის) შემოწმებით, ხოლო მისამართის ვერიფიკაციისთვის იდეალური იქნება სახელმწიფოს მიერ გამოცემული ოფიციალური დოკუმენტაციის გამოყენება ან სანდო და დამოუკიდებელი მესამე მხარის, მაგალითად, ბანკის გამოყენება. ხშირად, მისამართის შესამოწმებლად დოკუმენტაციის გამოყენება შეუძლებელია, ვინაიდან კლიენტი გარდაიცვალა, მაგრამ არ გააჩნდა ასეთი დოკუმენტაცია საკუთარი სახელით გარიგების განხორციელების დროს, ან არ ფლობს ამგვარ დოკუმენტებს. ასეთ შემთხვევებში, განიხილება ალტერნატიული მეთოდები (იხ.ქვემოთ) და გონივრული ღონისძიებების გატარება მისამართის ვერიფიკაციის მიზნით.

დოკუმენტების ნამდვილობის დადგენა შესაძლებელია დოკუმენტის დამოწმების მოთხოვნით და შემოწმებით, ასევე თანამშრომელთა სათანადო გადამზადებით ყალბი დოკუმენტების გამოვლენაში. გადამზადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნების დოკუმენტების ან ისეთი დოკუმენტების შემთხვევაში, რომლებიც ნაკლებად ცნობილია (მაგალითად, იურიდიული პირის და სამართლებრივი სტრუქტურის დოკუმენტაცია).

კლიენტის მისამართის ვერიფიკაციის ალტერნატიული მეთოდები:

მოქნილი მიდგომის გამოყენება შეიძლება ისეთი მისამართის ვერიფიკაციისთვის, როდესაც კლიენტს არ შეუძლია მისაღები დოკუმენტაციის წარმოდგენა. ანგარიშვალდებულ პირებს ეძლევათ ნებართვა ვერიფიკაციისთვის გამოიყენონ დამოუკიდებელი, სანდო წყაროები, მათ შორის:

- სატელეფონო ცნობარები;
- საარჩევნო სიები;
- კლიენტის ხელთ არსებული ანგარიშ-ფაქტურები ან სხვა დოკუმენტაცია, სადაც მისამართია მითითებული; და
- ინტერნეტში საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია.

შესაძლებლობის შემთხვევაში, ერთდროულად გამოყენებული უნდა იქნეს ერთზე მეტი ალტერნატიული მეთოდი.

მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტებისთვის, ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა განიხილონ მისამართის ფიზიკური შემოწმებაც, მაგალითად, მისამართზე პაროლის გაგზავნა და შემოწმება, მიიღებს თუ არა კლიენტი მას, ან აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულ ტელეფონის ნომერზე სატელეფონო ზარის განხორციელება.

ახალი და განვითარების ეტაპზე არსებული ტექნოლოგიების გამოყენება:

FATF-ი მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს საპასუხისმგებლო ფინანსურ და მარეგულირებელ ტექნოლოგიურ ინოვაციებს, რომლებიც FATF-ის სტანდარტების შესაბამისად გამოიყენება.

ახალი და განვითარების ეტაპზე მყოფი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება კლიენტის მისამართის ვერიფიკაციის მიზნით (მოსალოდნელია მაღალი რისკის შემთხვევებში) და უზრუნველყოფს ვინაობის დამატებით ვერიფიკაციას. მხოლოდ დაბალი რისკის შემთხვევებში ან ბენეფიციარი მესაკუთრეებისთვის (ამგვარი ღონისძიებების გამოყენება ასევე დაშვებულია, ვინაიდან მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით ნებადართულია „გონივრული ზომების“ გამოყენება) ვინაობის ვერიფიკაციის მიზნით შეიძლება დოკუმენტაციის ნაცვლად გამოყენებული იქნეს ტექნოლოგიები.

ახალი და განვითარების ეტაპზე მყოფი ტექნოლოგიები მოიცავს

- სოციალური მედიას;
- ონლაინ აღრიცხვას, მაგალითად, საარჩევნო რეესტრს;
- სახის ან ასაკის ამომცნობ პროგრამას;
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ვერიფიკაციის ელექტრონულ სისტემებს; და
- ციფრულ საიდენტიფიკაციო სისტემებს.

აუცილებელია ამგვარი ტექნოლოგიების რისკების შეფასება მათ გამოყენებამდე. იხ. ნაწილი 2.4. (ტექნოლოგიური რისკების შეფასება).

იურიდიული პირებისა და სამართლებრივი სტრუქტურის დოკუმენტაცია:

იურიდიული პირებისა და სამართლებრივი სტრუქტურების ვერიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტების გამოყენებით.

იურიდიული პირების შემთხვევაში

დოკუმენტი	ახდენს საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაციას	ახდენს მისამართის ვერიფიკაციას
რეგისტრაციის მოწმობა	✓	
სადამფუძნებლო შეთანხმება (ან ეკვივალენტი)	✓	
უახლესი საბანკო ამონაწერი ან კომუნალური მომსახურების გადახდის ქვითარი		✓
საჯარო რეესტრის უახლესი ყოველწლიური დეკლარაცია		✓
აუდიტის მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგება	✓	✓

იურიდიული სტრუქტურების შემთხვევაში

დოკუმენტი	ახდენს დაფუძნების ვერიფიკაციას	ახდენს მასთან დაკავშირებული ფიზიკური პირების ვერიფიკაციას
სატრასტო დეკლარაციის სათანადო ამონაწერი	✓	
უახლესი საბანკო ამონაწერი		✓

4.3 ხასიათი და მიზანი

AML კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (გ) ქვეპუნქტით ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია დაადგინოს კლიენტის საქმიანობისა და საქმიანი ურთიერთობის მიზანი და განზრახული ხასიათი. დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში, აღნიშნული შეიძლება შეფასდეს ანგარიშვალდებული პირის მიერ.

აღნიშნული ინფორმაციის დანიშნულება კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასების, გარიგებების დეტალური შესწავლის და მუდმივი მონიტორინგის მიზნებისთვის გამოყენებაა. იდეალურ შემთხვევაში, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მოლოდინებს გარიგებების სიხშირის, ზომის, წყაროსა და საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ.

4.4 გარიგებების დეტალური შესწავლა და იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მუდმივი განახლება

AML კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს გარიგება (ერთჯერადი ან დაკავშირებული), რომლის ღირებულებაც 5000 ლარს აღემატება და საქმიანი ურთიერთობის დროს შესრულებული გარიგებები, რათა დაადგინოს, რამდენად შეესაბამება ასეთი გარიგება (გარიგებები) კლიენტის, და საჭიროების

შემთხვევაში, კლიენტის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ მის ხელთ არსებულ ინფორმაციას. ასევე, საიდენტიფიკაციო ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაციისთვის გამოიყენება, სათანადო პერიოდულობით უნდა ახლდებოდეს.

გარიგებების დეტალურად შესწავლა:

„გარიგებები“ ამ მიზნისათვის უნდა მოიცავდეს ფინანსურ გარიგებებს (მაგ. დეპოზიტის განთავსებას, განაღდებას, ფასიანი საშუალებების გადატანას, ფსონებს, მოგების მიღებას), ასევე აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ გარიგებებს (მაგ. დადებულ ფსონებს). გათვალისწინებული უნდა იქნეს გარიგებების წარმომავლობა და საბოლოო დანიშნულება.

თანამშრომლებმა უნდა გაითვალისწინონ გარიგებები:

- განსხვავდება თუ არა კლიენტის მოსალოდნელი ქმედებისგან;
- არის თუ არა დიდი და კომპლექსური და გააჩნიათ თუ არა ხილული კანონიერი ეკონომიკური მიზანი;
- ხომ არ შეესაბამება ინდიკატორებს (“red flags”) ან ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ტიპოლოგიებს; ან
- ხომ არ აჭარბებს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილ ზღვარს.

თუ საქმიანობა მიიჩნევა უჩვეულოდ, სავალდებულოა დამატებითი დეტალური შესწავლის განხორციელება, გამლიერებული პრევენციული ღონისძიებების ჩატარება და იმის განსაზღვრა, არის თუ არა საქმიანობა საეჭვო. დამატებითი დეტალების სანახავად იხილეთ ნაწილი 5.1.

წესებზე დაფუძნებული ტრიგერები (triggers), რომლებიც პირების პოლიტიკაში, პროცედურებსა და ტექნოლოგიურ სისტემებშია გათვალისწინებული, მნიშვნელოვან დახმარებას უწევს იმ საქმიანობის აღნიშვნას, რომელიც გადახედვას საჭიროებს. თუმცა, ყველა "საგანგაშო შემთხვევა" უნდა გადაიხედოს კომპეტენტური და კარგად მომზადებული თანამშრომლების მიერ.

იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის მუდმივი განახლება:

კლიენტის ზუსტი და დროული სათანადო შემოწმება მოქმედებს, როგორც დამნაშავეთა სამყაროს შემაკავებელი ფაქტორი და ხელისუფლებამ შეიძლება გამოიყენოს გამოძიების ჩატარების და დამნაშავის გამოვლენისა და მისი ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით. ახალი ან დამატებითი ვერიფიკაცია აუცილებელი არ არის კლიენტის მიერ ყოველი გარიგების დადებისას. ინფორმაცია და დოკუმენტაცია მხოლოდ პერიოდულ განახლებას საჭიროებს, როდესაც საიდენტიფიკაციო ინფორმაცია იცვლება ან როდესაც დოკუმენტს ვადა ეწურება.

საიდენტიფიკაციო ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს კლიენტის გარემოებების გამო (მაგ. ქორწინება ან მისამართის შეცვლა). როდესაც იცვლება საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, აუცილებელია განხორციელდეს აღნიშნული ინფორმაციის ვერიფიკაცია.

4.5 მუდმივი მონიტორინგი

AML კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (დ) ქვეპუნქტით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია განახორციელოს საქმიანი ურთიერთობების მუდმივი მონიტორინგი და ეს უფრო ფართო მოთხოვნაა, ვიდრე ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა (გარიგებების დეტალური შესწავლა და იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის განახლება).

მუდმივი მონიტორინგი უნდა განხორციელდეს რისკებზე დამყარებული მეთოდის (RBA) გამოყენებით და უნდა მოიცავდეს გარიგებების მონიტორინგს, იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციას და კლიენტის რისკებს.

კლიენტების რისკების შეფასების გადახედვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაბამისი დამატებითი ინფორმაცია კლიენტის პროფილისა და კლიენტთა საქმიანობის შესახებ საქმიანი ურთიერთობების დროს გამოვლინდება.

ოპერატორებმა უნდა გამოიყენონ ელექტრონული სისტემები, რათა მუდმივად შეამოწმონ არის ან უნდა გახდეს თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი, აკისრია თუ არა სანქციები ან არის თუ არა უარყოფითი მედია გაშუქების ობიექტი, რაც შეიძლება მიუთითებდეს დანაშაულებრივ ქმედებებთან მის კავშირზე.

4.6 EDD – დამატებითი ინფორმაცია

AML კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (ა) და (გ) ქვეპუნქტებით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მოიპოვოს მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია -

- კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის შემოსავლის, ქონებისა და საქმიანობის შესახებ;
- საქმიანი ურთიერთობის განზრახული ხასიათის შესახებ;
- მოსალოდნელ ან შესრულებულ გარიგებათა მიზნების შესახებ.

თუ ინფორმაცია წარსულში უკვე შეფასებულია ანგარიშვალდებული პირის მიერ (როგორც ეს ნებადართულია დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში), ეს ინფორმაცია მიღებული უნდა იქნეს კლიენტისგან.

4.7 EDD – იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის ხშირი განახლება

AML კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გაზარდოს კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლების სიხშირე.

გარდა მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტებისა, აუცილებელია იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის მხოლოდ პერიოდული განახლება, როდესაც იცვლება ინფორმაცია ან როდესაც ვერიფიკაციის დოკუმენტებს ვადა ეწურებათ. მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში, კარგ პრაქტიკას წარმოადგენს იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციის არანაკლებ წელიწადში ერთხელ გადახედვა.

4.8 EDD/PEP– ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობა

AML კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის (ე) ქვეპუნქტით, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მიიღოს ინფორმაცია მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის შესახებ.

AML კანონის 21.3(ბ) მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია, აუცილებლობის შემთხვევაში, მიიღოს გონივრული ზომები პოლიტიკურად აქტიური პირის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის დასადგენად.

ფულადი სახსრების წარმომავლობის დადგენა გულისხმობს კლიენტის ფულადი სახსრების უშუალო წყაროს გამოვლენასა და დეპოზიტის განსათავსებლად ან ფსონის დასადგენად გამოყენებული წყაროს იდენტიფიცირებას (მაგ. ნაღდი ფული ან სადებეტო ბარათის ნომერი). ფულადი სახსრების წარმომავლობა შეიძლება თავისთავად ნათელი

გახდეს გარიგებიდან და საჭირო არ გახდეს კლიენტთან ურთიერთობა, თუ არ დადგება დამატებითი დეტალების მიღების საჭიროება, მაგალითად ნაღდი ფულის წარმომავლობის ან სადებეტო ბარათის სახელწოდების შესახებ.

ქონების წარმომავლობა გულისხმობს ფულადი სახსრების წარმოშობის დადგენას და იმ საქმიანობის გამოვლენას, რომელიც გახდა ფულადი სახსრების წარმოშობის წყარო (მაგ. საქართველოს ბანკიდან მიღებული ყოველწლიური შრომითი ანაზღაურება 20 000 ლარის ოდენობით). PEP-ის შემთხვევაში, ნებადართულია გონივრული ღონისძიებების განხორციელება ამ ინფორმაციის მისაღებად. ეს შეიძლება განიმარტოს, როგორც ანგარიშვალდებული პირის მიერ შემოწმების ჩატარება, რა დროსაც აუცილებელი არ არის კლიენტისთვის კითხვების დასმა. სანდო ინტერნეტ საიტებიდან და სოციალური მედიიდან საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს ქონების წარმომავლობის დასადგენად ან კლიენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ვერიფიკაციის მიზნით.

ისეთი ბუნდოვანი განმარტება, როგორცაა „საკონსულტაციო სამუშაო“, „საჩუქარი“ ან „ინვესტიცია“, ან აშკარად არარეალური ინფორმაცია, დამატებით უნდა იქნეს გამოკვლეული. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ქონების წარმომავლობა ფაქტობრივად შეესაბამება თუ არა განხორციელებულ საქმიანობას. კლიენტთა დიდი ნაწილისთვის, აზარტული თამაშობები გასართობი საქმიანობაა და, აქედან გამომდინარე, უნდა წარმოადგენდეს მათი შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს.

4.9 EDD/PEP ნებართვის გაცემა ხელმძღვანელი მენეჯმენტის მიერ

AML კანონის 18.1(დ) მუხლისა (მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტები) და 21.3(ა) მუხლის (პოლიტიკურად აქტიური პირები) შესაბამისად, სავალდებულოა ხელმძღვანელობისგან ნებართვა შემთხვევითი გარიგების დადებასთან დაკავშირებით, თუ თანხა (ერთჯერადი გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების) აღემატება 5000 ლარს. ასევე, საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად ან გასაგრძელებლად, მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული ან PEP-ების შემთხვევაში.

„ხელმძღვანელი მენეჯმენტი“ AML კანონის მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი პუნქტის 3³ ქვეპუნქტში განმარტებულია, როგორც ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია ანგარიშვალდებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შესახებ და თანამდებობრივად უფლებამოსილია მიიღოს ამ რისკების მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

ხელმძღვანელობის ამგვარი ნებართვა უნდა მოიცავდეს, მათ შორის,

- თარიღს;
- ხელმძღვანელის სახელს;
- ხელმძღვანელის თანამდებობას; და
- ისეთი დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, როგორცაა ელექტრონული ფოსტის დადასტურება ან ჩანაწერი საუბრის შესახებ.

4.10 გაძლიერებული სათანადო შემოწმება (EDD) - გაძლიერებული მიმდინარე მონიტორინგი

AML კანონის 18.1(ვ) მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია გაზარდოს მაღალი რისკის დონისათვის მიკუთვნებული კლიენტების კონტროლის

ღონისძიებების რაოდენობა და მათი განხორციელების სიხშირე და გამოავლინოს გარიგებათა ერთობლიობა, რომელიც შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

დამატებითი კონტროლი, კლიენტთან დაკავშირებული რისკების ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- გამოყენებული გადახდის მექანიზმ(ებ)ის მფლობელობის დადგენის მიზნით ჩატარებულ შემოწმებას;
- ონლაინ აზარტული თამაშების კლიენტების შემთხვევაში IP მისამართებისა და მოწყობილობების შემოწმებას;
- სხვა კლიენტების ანგარიშების შემოწმებას, რათა დადგინდეს ანალოგიური ან ერთნაირი (და შესაბამისად, პოტენციურად ერთმანეთთან დაკავშირებული ან თაღლითური) ინფორმაცია, მათ შორის, სახელები, მისამართები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

4.11 გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები - სხვა სათანადო ზომების გატარება

AML კანონის 18.2 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია განახორციელოს სხვა დამატებითი ზ.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აუცილებელია თუ არა დამატებითი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია მოპარულ ან ყალბ საიდენტიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით.

პირის სამართლებრივი ფორმა	დამატებითი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია	დამატებითი ვერიფიკაცია
ფიზიკური პირი	<ul style="list-style-type: none"> • მეორე სახელი/სახელები • ფსევდონიმები და ყოფილი სახელები • სქესი • ოფიციალური პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი • სამუშაო ადგილი და დამსაქმებლის სახელი 	<ul style="list-style-type: none"> • მეორეული საიდენტიფიკაციო დოკუმენტი, მაგალითად, მართვის მოწმობა • შემოწმება საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის და მონაცემთა ბაზების მეშვეობით <p>ონლაინ აზარტული თამაშების კლიენტების შემთხვევაში -</p> <ul style="list-style-type: none"> • სატელეფონო ან ვიდეოზარი • ფოტო, რომელშიც პირს პირადობის მოწმობა უკავია
იურიდიული პირი	<ul style="list-style-type: none"> • სავაჭრო დასახელება • საქმიანობის ძირითადი ადგილი 	<ul style="list-style-type: none"> • შემოწმება საჯაროდ ხელმისაწვდომი

	<ul style="list-style-type: none"> • საფოსტო მისამართი (თუ განსხვავდება ოფიციალური მისამართისგან) • მისი აქციები ბირჟაზე არის თუ არა მიმოქცევაში, და თუ კი, სად • მარეგულირებლის სახელწოდება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 	<p>ინფორმაციის და მონაცემთა ბაზების მეშვეობით</p> <ul style="list-style-type: none"> • კონტაქტი სანდო მესამე პირთან ვერიფიკაციის მიზნით
სხვა იურიდიული ფორმის სტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> • ტრასტის დამფუძნებლის ნების გამომხატველი წერილი 	<p>(დამოუკიდებლად მოპოვებული საკონტაქტო დეტალების გამოყენებით)</p>

გარდა დამატებითი იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციისა და კლიენტთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებზე საპასუხოდ, რეკომენდებულია, ასევე, შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ინტერნეტ გამოძიება საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროს გამოყენებით, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია ვარაუდისთვის, რომ კლიენტი შეიძლება დაკავშირებული იყოს სისხლისსამართლებრივ საქმიანობასთან;
- ხელმძღვანელი მენეჯმენტის მიერ თითოეული ტრანზაქციის დამტკიცება, რომელიც დადგენილ ზღვარს აღემატება, ყოველი დამყარებული საქმიანი ურთიერთობის შემთხვევაში; და
- იმ საქმიანობის მოცულობის ან ღირებულების დადგენა, რომელიც მიღებული იქნება კლიენტისგან.

4.12 მოქმედება სხვა პირის სახელით - უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი

AML კანონის 10.2 მუხლის შესაბამისად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მოიპოვოს კლიენტის წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოქმედებს თუ არა კლიენტი სხვა პირის სახელით, შეიძლება რთული დასადგენი აღმოჩნდეს, განსაკუთრებით, საქმიანი ურთიერთობების დამყარებამდე. თანამშრომლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ კლიენტებს, რომლებიც:

- საკუთარ თავებს „აგენტებს“ ან „შუამავლებს“ უწოდებენ;
- ცდილობენ გამოიყენონ მესამე პირების ანგარიშები ან თანხა გაანაღდონ აღნიშნული ანგარიშებიდან; ან
- წერილობითი ინსტრუქციების ან მობილური მოწყობილობების შესამოწმებლად გარიგების შესრულებამდე მცირე ხნით ადრე ჩნდებიან.

4.13 მოქმედება სხვა პირის სახელით - შესაბამისი კლიენტის იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია

AML კანონის 10.2 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს იმ პირის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია, ვისი სახელითაც მოქმედებს კლიენტი.

გარდა ამისა, ამავე კანონის მე-13 მუხლის თანახმად, ბენეფიციარ მესაკუთრეს წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომლის სახელითაც მზადდება, იდება ან სრულდება მითითება ან გარიგება. შესაბამისად, მოთხოვნები, რომლებიც ვრცელდება იურიდიული პირის ბენეფიციარ მესაკუთრეზე ან სამართლებრივ სტრუქტურაზე, მასზეც ვრცელდება (მაგ. კლიენტის რისკების შეფასება, იდენტიფიკაცია-ვერიფიკაცია, პოლიტიკურად აქტიური პირის ვალდებულებები, EDD-ის მოთხოვნები).

4.14 იურიდიული პირები და სხვა იურიდიული ფორმის მქონე სტრუქტურები- მფლობელობა და კონტროლი

AML კანონის 10.2 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებულმა პირმა იურიდიული პირის, არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის ან ტრასტის ან ტრასტის მსგავსი იურიდიული სტრუქტურის შემთხვევაში უნდა შეისწავლოს კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურა.

ამავე კანონის მე-13 მუხლის თანახმად, იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრეა ფიზიკური პირი, რომელიც (პირდაპირ ან ირიბად) ფლობს წილის ან ხმის უფლების მქონე აქციების (საკონტროლო) 25 პროცენტს ან 25 პროცენტზე მეტს. სამართლებრივი სტრუქტურის შემთხვევაში, მფლობელები და მაკონტროლებლები არიან რწმუნებული, მარწმუნებელი, მეურვე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ცნობილი ბენეფიციარები ან ბენეფიციართა ჯგუფები.

მფლობელებისა და მაკონტროლებლების დადგენა შესაძლებელია წარმოდგენილი იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის დოკუმენტაციიდან (იხილეთ ნაწილი 3.1 და ნაწილი 3.2). დამატებითი იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია შესაძლებელია წლიური დეკლარაციებიდან, დირექტორთა რეესტრიდან და ხელმომწერთა სიებიდან.

4.15 იურიდიული პირები და სხვა იურიდიული ფორმის მქონე სტრუქტურები - ბენეფიციარი მესაკუთრეების იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია

AML კანონის 10.1(ბ) ქვეპუნქტის თანახმად, ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია განახორციელოს ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია და მიიღოს გონივრული ზომები სანდო წყაროზე დაყრდნობით მისი ვერიფიკაციისთვის.

ამავე კანონის მე-13 მუხლი განაგრძობს დამატებით მოთხოვნებს ბენეფიციარი მესაკუთრეების მიმართ, რაც მოიცავს კლიენტის რისკების შეფასებასა და საჭიროების შემთხვევაში, PEP-ების ვალდებულებებსა და EDD-ის მოთხოვნებს.

იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის ღონისძიებების შესახებ მითითებების მისაღებად იხილეთ, ნაწილი 3, სადაც აღნიშნულია, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის ვერიფიკაციისთვის შეიძლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, თუ ეს ტექნოლოგიები წარმოადგენენ "გონივრულ ზომებს".

5 სკრინინგის სისტემები - პოლიტიკურად აქტიური პირები, სანქციები და უარყოფითი გაშუქება

AML კანონის 21.2 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია ჰქონდეს რისკების მართვის სათანადო სისტემა იმის დასადგენად, არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი. ამავე კანონის 21.3 მუხლი ადგენს სათანადო შემოწმების დამატებით ზომებს, რომლებიც ვრცელდება პოლიტიკურად აქტიურ პირებზე, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი მე-3 ნაწილში.

AML კანონის 21.1 მუხლით მოცემულია ძირითადი საჯარო ფუნქციების ჩამონათვალი, რომელთა დაკავების შემთხვევაში პირი მიჩნეული უნდა იქნას პოლიტიკურად აქტიურ პირად, ხოლო მუხლი 21.5 აღნიშნულს განავრცობს პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრებსა და საქმიან პარტნიორებზეც.

პოლიტიკურად აქტიურ პირებზე ვრცელდება დამატებითი სათანადო შემოწმების მოთხოვნები, საზოგადოებრივი სტატუსის მქონე პირებისთვის ან საჯარო თანამდებობის პირებისთვის მიწოდებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების რისკების გამო. გაზრდილი რისკი მომდინარეობს პოლიტიკურად აქტიური პირის მიერ პირადი სარგებლის მიღების მიზნით საკუთარი მდგომარეობის არასათანადოდ გამოყენებიდან (მაგ. კორუფცია, მექრთამეობა, ფულის გაფლანგვა) ან იქიდან, რომ ისინი შეიძლება თავად გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი (მაგ. გამოძალვა). ღონისძიებები ვრცელდება პოლიტიკურად აქტიური პირის ოჯახის წევრებსა და საქმიან პარტნიორებზეც, რადგან ისინი შეიძლება გამოყენებული იქნენ უკანონო საქმიანობის დასაფარად ან პოლიტიკურად აქტიური პირის საქმიანობიდან ჩამოსაშორებლად, დეტალური შესწავლის შემცირების მიზნით.

PEP-ის მიმართ ჩასატარებელ ღონისძიებებთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, კლიენტის მაღალი რისკი მის პოლიტიკურად აქტიური პირის სტატუსს ეფუძნება თუ სხვა ფაქტორებს, მაგალითად, საცხოვრებელ ქვეყანას და ანგარიშვალდებულ პირთან განხორციელებული საქმიანობის მასშტაბებს.

პროცესები და პროცედურა იმის დასადგენად, არის თუ არა კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირი, უნდა ეფუძნებოდეს რისკის შეფასებას. მაღალი რისკის დონისთვის მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში, ეს უნდა მოიცავდეს მუდმივ მონიტორინგს იმ კლიენტების გამოსავლენად, რომლებსაც პოლიტიკურად აქტიურები საქმიანი ურთიერთობების განხორციელების დროს ხდებიან.

ყურადღება უნდა დაეთმოს ელექტრონული სკრინინგის სისტემების გამოყენებას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებული პირის კლიენტების ბაზის დიდი ნაწილი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისგან შედგება. ამგვარ სისტემებს არა მხოლოდ პოლიტიკურად აქტიური პირის სტატუსის შემოწმება შეუძლიათ, არამედ ფინანსური

სანქციებისა და უარყოფითი მედია გაშუქებისა, რაც შეიძლება სისხლისსამართლებრივ საქმიანობასთან კავშირზე მიუთითებდეს.

ამგვარი სისტემის გამოყენების დანერგვამდე, უნდა ჩატარდეს ტექნოლოგიური რისკების შეფასება (დეტალებისათვის იხილეთ ნაწილი 2.4) და ყურადღება უნდა გამახვილდეს -

- ინფორმაციის წყაროზე და იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია იგი კლიენტთა ბაზისთვის (სანქციების შემთხვევაში მოიცავს იმის გათვალისწინებას, თუ სანქციების რომელი ჩამონათვალი მოწმდება);
- რამდენად ხშირად ხდება მონაცემთა წყაროების განახლება;
- არის თუ არა მოცული პოლიტიკურად აქტიური პირის ყველა ფუნქცია (როგორც ეს 21-ე მუხლითაა გათვალისწინებული);
- შეიძლება თუ არა პარამეტრების იმგვარად დაყენება, რომ შესაძლებელი გახდეს "გაფრთხილების" სიგნალის მართვა (მაგ. გაფრთხილების სიგნალის მოცილება ისეთი მეორეხარისხოვანი დარღვევების შემთხვევაში, როგორც მართვის წესების დარღვევა);
- მუშაობს თუ არა სისტემა ყველა შესაბამის ანბანზე (მაგ. კირილიცა, სპარსული); და
- სად და როგორ ინახება მონაცემები (მონაცემთა დაცვის გათვალისწინება).

6 ურვეულო და საეჭვო საქმიანობა

6.1 ურვეულო საქმიანობა

AML კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გარიგებებს, რომლებიც არის რთული, ურვეულოდ დიდი გარიგება ან გარიგებათა ურვეულო ერთობლიობა, რომელსაც აშკარა ეკონომიკური ან კანონიერი მიზანი არ აქვს. გონივრული შესაძლებლობების ფარგლებში, გარიგებები, მათი მიზნები და საფუძველი უნდა შემოწმდეს და ამგვარი შემოწმების ჩანაწერები უნდა აღირიცხოს.

AML კანონის 20.2 მუხლის თანახმად, ეჭვის არსებობის დადგენის მიზნით სავალდებულოა გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

როდესაც ურვეულო გარიგება გამოვლინდება, როგორც წესი, გარიგებების დეტალური შესწავლის და ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, სათანადოდ გადამზადებულმა თანამშრომლებმა უნდა შეისწავლონ საქმიანობა და მიიღონ ზომები, რათა დაადგინონ საქმიანობის საფუძველი. ამგვარი ზომები მოიცავს ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის დადგენას და, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტისთვის მათი დასაბუთების მოთხოვნას.

თანამშრომლებმა კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის დროს გონივრულად უნდა იმოქმედონ (იხილეთ ნაწილი 5.3), თუმცა კლიენტისთვის კითხვების დასმა შესაძლებელია ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების შესახებ პრობლემის არსებობის ხსენების ან მის შესახებ ეჭვის გამოხატვის გარეშე.

ყურადღება უნდა დაეთმოს, არის თუ არა საქმიანობა დაკავშირებული მე-2 ნაწილში (რისკზე დაფუძნებული მიდგომა ფულის გათეთრების/ ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან მიმართებაში) ჩამოთვლილ მაღალი რისკის რომელიმე მაგალითთან ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა რომელიმე ცნობილ ტიპოლოგიასთან ანუ „გაფრთხილებასთან“, როგორც აზარტული თამაშების, ასევე ანალოგიური სექტორების შემთხვევაში (მაგალითად, გადახდის მომსახურების მიმწოდებლები).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს

- საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია მაღალი რისკის იურისდიქციასთან;
- მსხვილ მოთამაშეების/VIP-ების ან სახელმწიფო სახსრებით გასართობი ტურნეების მოწყობის აქტივობებს;
- მესამე პირების ან აგენტების გამოყენებას;
- ფსონების დადების ურვეულო აქტივობას (მაგ. ფსონების დადებას ყველა შედეგზე, აშკარად განზრახ წაგებას ან მაღალი ღირებულების ფსონებს დაბალი ლიგის თამაშებზე);
- ხშირ, განმეორებით მცირე გარიგებებს, რომლებიც ურვეულოდ გამოიყურებიან;
- ნაღდი ფულით ხშირ ან დიდი თანხების გადახდას ან ანონიმური გადახდის სხვა ფორმებს;

- ვალუტის ნომინალების შეცვლის მცდელობას (მაგ. დაბალი ნომინალის კუპიურების მაღალი ნომინალის კუპიურებზე);
- აზარტული თამაშების დასაფინანსებლად მრავლობითი წყაროების გამოყენებას;
- აზარტული თამაშებისთვის სხვადასხვა წყაროების გამოყენებას და მოგების განაღდებას;
- გადახდის მექანიზმების ხშირ ცვლას;
- დეპოზიტის განთავსებას ან თანხის განაღდებას მესამე პირის მიერ;
- დეპოზიტებს, რომლებსაც მოსდევს თანხის განაღდება თამაშის მცირე აქტივობის პირობებში ან თამაშის აქტივობის გარეშე;
- კლიენტს, რომელიც დაჟინებით ითხოვს პირად შეხვედრას ან სატელეფონო საუბარს;
- იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის დოკუმენტებს, რომლებიც უცნაურად გვერვენება ან შეიძლება გაყალბებული იყოს; და
- ახსნა-განმარტებას საქმიანობასთან ან ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით, რომელიც სარწმუნოს არ ჰგავს და მათი შემოწმება შეუძლებელია.

უჩვეულო საქმიანობის დამატებითი დეტალური შესწავლის შედეგია ის, რომ -

- საქმიანობა აღარ არის მიჩნეული უჩვეულოდ;
- საქმიანობა კვლავ მიიჩნევა უჩვეულოდ, მაგრამ არა საეჭვოდ და უნდა განხორციელდეს კლიენტის რისკის ხელახალი შეფასება; ან
- საქმიანობა საეჭვოა (იხილეთ ნაწილი 5.2).

ხელმძღვანელობამ პერიოდულად უნდა გადახედოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ სახელმძღვანელო მითითებებს ტიპოლოგიებისა და გაფრთხილებების შესახებ, როგორც არის FATF. ამგვარად შესაძლებელი გახდება უჩვეულო და საეჭვო საქმიანობის გამოვლენის ეფექტიანი პროცესის დადგენა და წარმოება.

6.2 ანგარიშების წარდგენა საეჭვო გარიგებების შესახებ

AML კანონის 10.7 მუხლის თანახმად, აკრძალულია საეჭვო გარიგების შესრულება და ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დაუყოვნებლივ წარუდგინოს იმავე კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშგება საეჭვო გარიგების, მათ შორის გარიგების მცდელობის შესახებ. სუბიექტებმა კლიენტთან, გარიგებებთან და AML კანონის შესაბამისად მიღებულ ზომებთან დაკავშირებული ინფორმაცია და დოკუმენტები, მათ შორის, კლიენტის სათანადო შემოწმების შესახებ, უნდა წარადგინონ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა (აღნიშნული კანონის 26.5 მუხლის შესაბამისად).

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებები *საეჭვო გარიგებებისა და აზარტული თამაშების ბიზნესის ინდიკატორების შესახებ* (2019) ითვალისწინებს, რომ

„ტრანზაქცია საეჭვოა, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის მომზადდა, დაიდო ან შესრულდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული ქონების ან მისგან მიღებული შემოსავლის საფუძველზე, მიზნად ისახავს ფულის გათეთრებას ან უკავშირდება ტერორიზმის დაფინანსებას.

საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილებისთვის საჭირო არ არის დანაშაულის ფაქტის დანამდვილებით ცოდნა, თუმცა არც ჰიპოთეტური ვარაუდია საკმარისი.“

ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა დაიცვან ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ გამოცემული დამატებითი სახელმძღვანელო მითითებები ანგარიშგების მოთხოვნების შესახებ.

6.3 ინფორმაციის გამჟღავნების (tipping off) აკრძალვა და ანგარიშგების წარმდგენების დაცვა

AML კანონის 28-ე მუხლით, ანგარიშვალდებულ პირს, მის ხელმძღვანელებსა და თანამშრომლებს (ანგარიშგების წარმდგენი პირი) ეკრძალებათ აცნობონ კლიენტს ან სხვა პირს, რომ 25-ე მუხლის საფუძველზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურს წარედგინა ან წარედგინება ანგარიშგება. აღნიშნული ვრცელდება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშგების წარმდგენი პირი ინფორმაციას და დოკუმენტაციას წარუდგენს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს ან მათი ჯგუფის წევრებს.

AML კანონის 28.5 მუხლის თანახმად „ანგარიშგების წარმდგენი პირი თავისუფლდება კლიენტის კონფიდენციალურობის დარღვევის პასუხისმგებლობისგან, ხოლო იმავე კანონის 28.6 მუხლით იკრძალება ანგარიშგების წარმდგენი პირის ვინაობის გამჟღავნება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ასევე, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ანგარიშგების წარმდგენი თანამშრომლის დაცვა მუქარისგან, დისკრიმინაციული მოპყრობისგან ან სხვა უკანონო ზემოქმედებისგან.

ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემის რისკების თავიდან აცილების მეთოდები და გადაამზადოს თანამშრომლები ამ მიმართულებით. ყველა თანამშრომელმა უნდა იცოდეს, ორგანიზაციაში ვის წინაშე უნდა დააყენოს საკითხი უჩვეულო თუ საეჭვო საქმიანობის შესახებ.

ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ დაინერგოს მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვის კულტურა, სადაც თანამშრომლები ყოველგვარი შურისძიების შიშის გარეშე შეძლებენ საკითხი წამოჭრან უჩვეულო ან საეჭვო საქმიანობის შესახებ.‘

7 ზოგადი ვალდებულებების შეჯამება

ამ ნაწილში წარმოდგენილია AML კანონის დანარჩენი მოთხოვნების მოკლე მიმოხილვა.

7.1 აღრიცხვის წარმოება

AML კანონის 27-ე მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებულ პირი ვალდებულია შეინახოს ქვემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტიდან ან ერთჯერადი გარიგების დადებიდან 5 წლის განმავლობაში. თუმცა, ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნისას მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.

იმავე კანონის 27.5 მუხლის მიხედვით, ინფორმაცია ან დოკუმენტი ინახება ისეთი ფორმით, რომ შესაძლებელი იყოს სათანადო ვადაში მისი კომპეტენტური ორგანოსთვის წარდგენა. კონკრეტულად, იმავე კანონის 27.6 მუხლით სავალდებულოა მონაცემთა

აღრიცხვისა და დამუშავების სათანადო ელექტრონული სისტემის შექმნა ინფორმაციის ან დოკუმენტის შენახვის მიზნით, დაკავშირებული გარიგებების, უჩვეულო გარიგებისა და საეჭვო გარიგების გამოსავლენად.

სავალდებულოა იმ ინფორმაციისა და დოკუმენტების შენახვა, რომლებიც დაკავშირებულია:

- გარიგებებთან (როგორც ფინანსურ, ასევე აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ საქმიანობასთან, რამდენადაც ეს შესაძლებელია);
- ანგარიშის მასალებთან და საქმიან კორესპონდენციასთან;
- რისკების შეფასებასთან;
- CDD-სთან, PEP-ის ვალდებულებებთან და EDD-სთან; და
- გარიგებების დეტალურ შესწავლასთან და მუდმივი მონიტორინგთან.

7.2 შესაბამისობის სისტემა

AML კანონის 29-ე მუხლით ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია დანერგოს პროპორციული და რისკის შეფასებაზე დაფუძნებული შესაბამისობის სისტემა. შემუშავებული უნდა იქნეს შიდა რეგულაციები, რომელსაც მმართველი ორგანო ან ორგანიზაციის დირექტორი დაამტკიცებს. ამგვარი შიდა რეგულაციები უნდა მოიცავდეს

- ფულის გათეთრების შესაბამისობის ოფიცრის (MLCO) ფუნქციებს;
- თანამშრომელთა სკრინინგის პროცედურებს;
- პერსონალის გადამზადების პროგრამებს; და
- დამოუკიდებელი აუდიტის ფუნქციას.

7.3 შესაბამისობის ფუნქცია ჯგუფის დონეზე

იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშვალდებული პირი ჯგუფის სათაო საწარმოა, AML კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია დანერგოს ჯგუფის დონეზე შესაბამისობის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს

- ინფორმაციის გავრცელების პროცედურებს; და
- მექანიზმებს ინფორმაციის გავრცელებისას მისი კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით.

ანგარიშვალდებული პირის ფილიალებმა და შვილობილმა საწარმოებმა უნდა დაიცვან AML კანონის დებულებები, თუ მათ ადგილსამყოფელ იურისდიქციაში მოქმედი კანონმდებლობა ნაკლებად მკაცრ მოთხოვნებს ითვალისწინებს. თუ ფილიალი ან შვილობილი საწარმო სათანადოდ ვერ ასრულებს კანონით გათვალისწინებულ დებულებებს, ანგარიშვალდებულმა პირმა აღნიშნულის შესახებ უნდა აცნობოს საზედამხედველო ორგანოს და მიიღოს ზომები ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკების ეფექტური მართვის მიზნით.

8 ფულის გათეთრების /ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო წარმოადგენს იმ ანგარიშვალდებული პირების საზედამხედველო ორგანოს, რომელიც აწვობენ ლატარიებს, აზარტულ და მომგებიან თამაშობებს. სუბიექტები უნდა ისწრაფოდნენ, რომ საზედამხედველო ორგანოსთან შეინარჩუნონ დადებითი, პროდუქტიული და თანამშრომლობის ატმოსფერო -

- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონისა და შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების დაცვით;
- ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მოთხოვნების დაცვით;
- დეტალური და ზუსტი ინფორმაციის დროული მიწოდებით ასეთი ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში;
- ზედამხედველობის ორგანოს შეტყობინებით საქმიანობაში ნებისმიერი არსებითი ცვლილების და AML/CFT-ის მოთხოვნების ნებისმიერი შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ანგარიშვალდებული პირი ვალდებულია მზად იყოს ადგილზე (on-site) და გასვლითი (off-site) შემოწმებისთვის და უზრუნველყოს ინფორმაციისა და ჩანაწერების ხელმისაწვდომობა.

თვითშეფასების საკონტროლო სია წარმოდგენილია დანართში I.

საკონტროლო სია შექმნილია იმისთვის, რომ სუბიექტებს დახმარება გაუწიოს მოემზადონ შემოწმებისთვის საკუთარი პროცესების, პროცედურებისა და სისტემის სიის მიხედვით გადახედვის გზით.⁷ წინამდებარე თვითშეფასება უზრუნველყოფს:

- ა) ისეთი სფეროებს გამოვლენას, სადაც ვალდებულებები არ სრულდება და ხარვეზების გამოსწორებას; და
- ბ) უზრუნველყოფს შესაბამის დოკუმენტების აღრიცხვას (კონკრეტული ნაწილების მითითებით), რომლებიც შეიძლება წარედგინოს საზედამხედველო ორგანოს, იმის დამადასტურებლად, რომ მოთხოვნები შესრულდა.

⁷ აღნიშნული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და არ აუქმებს კანონპროექტის ან სახელმძღვანელო მითითებების განხილვის საჭიროებას.

დანართი I: თვითშეფასების საკონტროლო სია (SELF-ASSESSMENT CHECKLIST)

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე				
1. საქმიანობის რისკების შეფასება				
საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამაკ.)	მითითება
1.1	კანონი	საქმიანობის რისკების შეფასება განხორციელდა და დოკუმენტირებულია.		
1.2	კანონი	შეფასება ითვალისწინებს შესაბამის რისკ-ფაქტორებს.		
1.3	სახელმძღვანელო	შეფასება განხორციელდა დარგის ექსპერტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ		
1.4	სახელმძღვანელო	შეფასება განახლდა არანაკლებ წელიწადში ერთხელ და შესაბამისი რისკ ფაქტორების არსებითი ცვლილებების შემთხვევაში.		
1.5	სახელმძღვანელო	შეფასება მოიცავს ვერსიის კონტროლს		
1.6	სახელმძღვანელო	რისკების შეფასება წარმოადგენს AML/CFT მოთხოვნების რისკის შეფასებაზე დამყარებულ მიდგომას.		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე

2. პროცესი და პროცედურა (შიდა რეგულაციები)

საგანი	ტიპი (კანონი/სახელ მმღვანელო მიითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამა კ.)	მიითითება
2.1	კანონი	პროცესი და პროცედურა თანაზომიერია და დაფუძნებულია რისკის შეფასებაზე		
2.2	კანონი	პროცესი და პროცედურა დამტკიცებულია მმართველი ორგანოს/დირექტორის მიერ		
2.3	კანონი	MLCO-ის როლი დოკუმენტირებულია		
2.4	კანონი	არსებობს თანამშრომელთა სკრინინგის პოლიტიკა და პროცედურები		
2.5	კანონი	არსებობს დამოუკიდებელი აუდიტის ფუნქციის პოლიტიკა და პროცედურები		
2.6	კანონი	არსებობს ყველა სხვა AML/CFT მოთხოვნების პოლიტიკა და პროცედურები (მაგ. აღრიცხვის წარმოება, რისკების შეფასება, CDD, PEP, EDD, გარიგებების სკრინინგი, მუდმივი მონიტორინგი, უჩვეულო და საეჭვო საქმიანობის წარმართვა)		
2.7	სახელმმღვანელო	თანამშრომლები იცნობენ ყველა შიდა რეგულაციას და უტარდებათ სათანადო გადამზადება		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე

3. აღრიცხვის წარმოება

საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამაკ.)	მითითება
3.1	კანონი	ჩანაწერები ინახება საქმიანი ურთიერთობის დასრულებიდან ან შემთხვევითი გარიგების შესრულებიდან 5 წლის განმავლობაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვადა იზრდება უფლებამოსილი ორგანოების მოთხოვნის საფუძველზე).		
3.2	კანონი	აღრიცხვა წარმოებს იმგვარად, რომ ხელისუფლებისთვის ოპერატიულად იქნეს ხელმისაწვდომი.		
3.3	კანონი	არსებობს აღრიცხვისა და მონაცემთა დამუშავების ელექტრონული სისტემები აღრიცხვის წარმოებისა და ანალიზის მიზნებისათვის და დანაწევრებული, უჩვეულო ან საეჭვო გარიგებების აღსაკვეთად.		
3.4	სახელმძღვანელო	წარმოებს ფინანსური გარიგებების, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული გარიგებების, ანგარიშის მონაცემების, საქმიანი კორესპონდენციის, რისკების შეფასების, CDD-ის, PEP-ის ვალდებულებების, გარიგებების დეტალური შესწავლისა და მუდმივი მონიტორინგის აღრიცხვა.		

ეს ნაწილი ვრცელდება პირებზე, რომლებიც ახორციელებენ შემთხვევით გარიგებებს

4. შემთხვევითი გარიგებების გამოვლენა, რომლებიც დადგენის ზღვრულ მაჩვენებელს სცილდება

საგანი	ტიპი კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამაკ.)	მითითება
4.1	სახელმძღვანელო	იმ გარიგებებისთვის, რომლებიც 5000 ლარის ზღვრულ ოდენობას აღემატება, არსებობს პროცესები და პროცედურები (ერთჯერადი, ან რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული გარიგება).		
4.2	სახელმძღვანელო	თანამშრომლებმა იციან ზღვრული ოდენობის შესახებ და გადამზადება აქვთ გავლილი იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოავლინონ გარიგებები, რომლებიც დადგენილ ზღვრულ ოდენობას აღემატება.		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე
(იმ საქმიან ურთიერთობებთან და კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც აღმატებთან დადგენილ ზღვრულ
ოდენობას)

5. კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება

საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამაკ.)	მითითება
5.1	კანონი	კლიენტების რისკების შეფასება ხორციელდება ყველა საქმიანი ურთიერთობისა და კლიენტის მიმართ, როდესაც ერთჯერადი გარიგება აჭარბებს 5000 ლარიანი გარიგების ზღვრულ ოდენობას.		
5.2	კანონი	შეფასება მოიცავს შესაბამისი რისკ-ფაქტორების განხილვას.		
5.3	კანონი	შეფასებები დოკუმენტირებულია, განახლებულია სათანადო დროს და მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომია საზედამხედველო ორგანოსთვის		
5.4	სახელმძღვანელო	ხელმძღვანელობა განიხილავს და ამტკიცებს მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შეფასებას.		
5.5	სახელმძღვანელო	კლიენტები ფასდებიან დაბალ, ზომიერ და მაღალ რისკების შებასამისად.		
5.6	კანონი	მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტებისთვის ტარდება გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები.		
5.7	კანონი	გამარტივებული პრევენციული ღონისძიებები ნებადართულია მხოლოდ დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში.		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე

6. ტექნოლოგიური რისკების შეფასება

საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არადამაკ.)	მითითება
6.1	კანონი	ტექნოლოგიური რისკების შეფასება ტარდება ახალი ტექნოლოგიების, პროდუქტების, მიწოდების საშუალებების დანერგვამდე და სხვა არსებითი ცვლილებების განხორციელებამდე.		
6.2	სახელმძღვანელო	ტექნოლოგიური რისკების შეფასების განხორციელებისას ყურადღება ეთმობა შესაბამის რისკ-ფაქტორებს.		

ეს ნაწილი ვრცელდება ყველა აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე
(იმ საქმიან ურთიერთობებთან და კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც დადგენილ ზღვრულ ოდენობას
აღემატება)

7. CDD				
საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო ნელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./ პროექტი/არადამაკ.)	მითითება
7.1	კანონი	კლიენტების იდენტიფიცირება ხორციელდება საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვებისა და აღრიცხვის მეშვეობით, შემთხვევითი გარიგების შესრულებამდე, რომელიც დადგენილ ზღვარს აღემატება ან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე		
7.2	კანონი	საიდენტიფიკაციო მონაცემების ვერიფიკაცია ხდება დამოუკიდებელი სანდო წყაროების გამოყენებით		
7.3	სახელმძღვანელო	ახალი და განვითარების ეტაპზე მყოფი ტექნოლოგიები წარმოადგენს არა მხოლოდ ზომიერი და მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების ვინაობის ვერიფიკაციის მეთოდს		
7.4	კანონი	ვერიფიკაცია ხორციელდება შემთხვევითი გარიგებების შესრულებამდე (რომლებიც ზღვარს აჭარბებს) ან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე, გარდა დაბალი რისკის შემთხვევებისა, საქმიანობის შეფერხების თავიდან ასაცილებლად		
7.5	კანონი	კლიენტის საქმიანობისა და საქმიანი ურთიერთობის მიზანი და განზრახული ხასიათის დადგენა		
7.6	კანონი	ინფორმაცია საქმიანობისა და საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ შემოწმების გარეშე მიიღება მხოლოდ დაბალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში		
7.7	სახელმძღვანელო	ინფორმაცია საქმიანობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ მოიცავს მოლოდინებს გარიგებების სიხშირის, ზომის, წყაროსა და საბოლოო დანიშნულების ადგილის შესახებ.		

7.8	სახელმძღვანელო	თანამშრომლებისთვის ცნობილია, რომ კლიენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით და მონიტორინგს მონიტორინგს უწევს მითითებებს აღნიშნულის შესახებ		
7.9	კანონი	როდესაც კლიენტი მოქმედებს სხვა პირის სახელით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება და სრულფასოვანი შემოწმება ხორციელდება აღნიშნულ პირთან მიმართებაში		
7.10	კანონი	თუ კლიენტი იურიდიული პირი ან სამართლებრივი სტრუქტურაა, დგინდება მფლობელობა და კონტროლი		
7.11	კანონი	თუ კლიენტი იურიდიული პირი ან სხვა იურიდიული ფორმის სტრუქტურაა, დგინდება ბენეფიციარი მესაკუთრეები და ხორციელდება გონივრული ღონისძიებები, რათა მოხდეს მათი ვინაობის ვერიფიკაცია		
7.12	კანონი	თუ CDD-ის მოთხოვნები არ სრულდება, შემთხვევითი გარიგებები არ ხორციელდება და საქმიანი ურთიერთობები არ ვითარდება.		
7.13	კანონი	თუ CDD-ის მოთხოვნები არ სრულდება, ყურადღება ეთმობა იმას, იწვევს თუ არა აღნიშნული ეჭვს		

ეს ნაწილი ვრცელდება ყველა აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე
(იმ საქმიან ურთიერთობებთან და კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც დადგენილ ზღვრულ ოდენობას
აღემატება)

8. გარიგებების დეტალური შესწავლა და მუდმივი მონიტორინგი

საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/ა რადამაკ.)	მითითება
8.1	კანონი	ხორციელდება გარიგებების დეტალური შესწავლა კლიენტების შესახებ პირების ცოდნის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის შესახებ).		
8.2	სახელმძღვანელო	ხორციელდება როგორც ფინანსური, ასევე აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული გარიგებების დეტალური შესწავლა.		
8.3	სახელმძღვანელო	ხორციელდება ზომები ისეთი გარიგებების გამოსავლენად, რომლებიც სცილდება ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილ ზღვარს.		
8.4	კანონი	მუდმივი მონიტორინგი ეფუძნება რისკის შეფასებას.		
8.5	კანონი	მუდმივი მონიტორინგი მოიცავს გარიგებების, იდენტიფიკაცია-ვერიფიკაციისა და კლიენტებთან დაკავშირებული რისკის მონიტორინგს.		
8.6	სახელმძღვანელო	ყურადღება ეთმობა (განსაკუთრებით მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების შემთხვევაში) ელექტრონული შემოწმების ჩატარებას, რათა დადგინდეს, არის ან უნდა გახდეს თუ არა კლიენტი PEP, ხომ არ აკისრია სანქციები და არის თუ არა უარყოფითი მედია გაშუქების ობიექტი.		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე
(იმ საქმიან ურთიერთობებთან და კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც დადგენილ ზღვრულ ოდენობას
აღემატება)

9. PEP-ის მოთხოვნები				
საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვ ანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/ა რადამაკ.)	მითითება
9.1	კანონი	არსებობს რისკების მართვის შესაბამისი სისტემა კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად, რომელიც PEP-ია.		
9.2	სახელმძღვანელო	ყურადღება ეთმობა მუდმივი სკრინინგის განხორციელებას იმის დასადგენად, კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე უნდა გახდეს თუ არა PEP. ამგვარი ყურადღება ვრცელდება სანქციებსა და უარყოფით მედია გაშუქებაზეც.		
9.3	კანონი	PEP-ის მიმართ მოთხოვნები ვრცელდება ყველა სახის PEP-ზე, მათ შორის PEP-ის ოჯახის წევრებსა და საქმიან პარტნიორებზეც.		
9.4	სახელმძღვანელო	კლიენტის PEP -ის სტატუსი გათვალისწინებულია კლიენტის რისკის შეფასებაში.		
9.5	კანონი	ინფორმაცია ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის შესახებ მიიღება კლიენტისგან, რომელიც PEP-ია და ტარდება გონივრული ღონისძიებები ბენეფიციარი მესაკუთრის ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის დასადგენად.		
9.6	სახელმძღვანელო	მოწმდება ინფორმაცია ქონების წარმომავლობის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის საკმარისობა და სანდოობა და შეესაბამებოდეს კლიენტის საქმიანობას.		
9.7	კანონი	ხელმძღვანელობის ნებართვა სავალდებულოა PEP-თან საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად ან შემთხვევითი გარიგების შესასრულებლად.		
9.8	კანონი	თუ არ სრულდება PEP-ის მიმართ მოთხოვნები, არ ხორციელდება ერთჯერადი გარიგებები და არ ვითარდება საქმიანი ურთიერთობები.		
9.9	კანონი	თუ PEP-თან დაკავშირებული მოთხოვნები არ სრულდება, არ ხორციელდება ერთჯერადი გარიგებები ან არ ვითარდება საქმიანი ურთიერთობა.		

ეს ნაწილი ვრცელდება ყველა აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე
(იმ საქმიან ურთიერთობებთან და კლიენტებთან მიმართებაში, რომლებიც დადგენილ ზღვრულ ოდენობას
აღემატება)

10. გაძლიერებული სათანადო შემოწმება				
საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/ა რადამაკ.)	მითითება
10.1	სახელმძღვანელო	გაძლიერებული სათანადო შემოწმება განიხილება ყველა მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტისთვის ინდივიდუალურად.		
10.2	კანონი	დამატებითი ინფორმაცია მიიღება მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტებისაგან მათი შემოსავლის, ქონების და საქმიანობის, საქმიანი ურთიერთობის განზრახული ხასიათისა და მიზნის, ასევე გარიგებების მიზეზების შესახებ.		
10.3	კანონი	იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის განახლება უფრო ხშირია.		
10.4	სახელმძღვანელო	იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის გადახედვა ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.		
10.5	კანონი	მიიღება ინფორმაცია ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის შესახებ და მიიღება გონივრული ზომები ბენეფიციარი მესაკუთრის ფულადი სახსრებისა და ქონების წარმომავლობის დასადგენად.		
10.6	სახელმძღვანელო	მოწმდება ქონების წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის საკმარისობა, სანდოობა და კლიენტის საქმიანობასთან შესაბამისობა.		
10.7	კანონი	ხელმძღვანელობის ნებართვა სავალდებულოა მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებულ კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად ან შემთხვევითი გარიგების შესასრულებლად.		
10.8	კანონი	მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების მუდმივი მონიტორინგი უფრო ხშირი და დეტალურია.		
10.9	სახელმძღვანელო	ყურადღება ეთმობა გამოყენებული გადახდის მეთოდების მფლობელობის, ინტერნეტ პროტოკოლის (IP) და მოწყობილობების შემოწმებას (შესაძლებლობის შემთხვევაში) და შემოწმებას დაკავშირებული ანგარიშების დასადგენად.		
11	კანონი	განიხილება სხვა დამატებითი ღონისძიებები.		
11.1	სახელმძღვანელო	განიხილება დამატებითი საიდენტიფიკაციო ინფორმაციის მიღება და საიდენტიფიკაციო მონაცემების დამატებითი ვერიფიკაცია.		

11.2	სახელმძღვანელო	ყურადღება ეთმობა ინტერნეტ გამოძიებას საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროს გამოყენებით, რომელიც მოითხოვს ნებართვას ხელმძღვანელობის მხრიდან ყოველი გარიგების შემთხვევაში, რომელიც გარკვეულ ზღვრულ მაჩვენებელს სცილდება, ასევე განიხილება საკითხი გარიგებების ზღვრული მაჩვენებლის დადგენის შესახებ.		
11.3	სახელმძღვანელო	განიხილება მაღალი რისკის დონეს მიკუთვნებული კლიენტების მუდმივი სკრინინგი იმის დასადგენად, კლიენტი ან ბენეფიციარი მესაკუთრე უნდა გახდეს თუ არა PEP, დაკისრებული აქვს თუ არა სანქციები ან არის თუ არა უარყოფითი მედია გაშუქების ობიექტი.		
11.4	კანონი	თუ EDD-ის მოთხოვნები არ სრულდება, არ ხორციელდება შემთხვევითი გარიგებები ან არ ვითარდება საქმიანი ურთიერთობა.		
11.5	კანონი	თუ EDD-ის მოთხოვნები არ სრულდება, ყურადღება ეთმობა იმას, იწვევს თუ არა აღნიშნული ეჭვს.		

ეს ნაწილი ვრცელდება აზარტული თამაშების ყველა სუბიექტზე

11. უჩვეულო და საეჭვო საქმიანობა				
საგანი	ტიპი (კანონი/სახელმძღვანელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./ნაწ. დამაკ./პროექტი/არად ამაკ.)	მითითება
11.1	კანონი	განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გარიგებებს, რომლებიც წარმოადგენენ კომპლექსურ, უჩვეულოდ დიდ ან უჩვეულო მახასიათებლების მქონეს და რომლებსაც ამკარა ეკონომიკური ან კანონიერი მიზანი არ გააჩნიათ, „უჩვეულო გარიგებები“.		
11.2	კანონი	მოწმდება უჩვეულო გარიგებები, მათი მიზანი და საფუძველი.		
11.3	სახელმძღვანელო	შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს ღონისძიებებს ფულადი სახსრების და ქონების წარმომავლობის დასადგენად.		
11.4	სახელმძღვანელო	ხელმძღვანელობა პერიოდულად ახორციელებს სახელმძღვანელოსა და ტიპოლოგიების გადახედვას.		
11.5	სახელმძღვანელო	პერსონალი, რომლებიც ამოწმებს უჩვეულო გარიგებებს, სათანადოდ არის მომზადებული.		
11.6	კანონი	წარმოებს შემოწმების აღრიცხვა		
11.7	კანონი	ტარდება გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები იმ კლიენტების მიმართ, რომლებსაც უჩვეულო გარიგებები აქვთ დადებული.		
11.8	კანონი	ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების ეჭვის არსებობის შემთხვევაში, ერთჯერადი გარიგებები არ ხორციელდება და საქმიანი ურთიერთობები აღარ გრძელდება.		
11.9	კანონი	ეჭვების შესახებ დაუყოვნებლივ წარედგინება ანგარიში ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.		
12	სახელმძღვანელო	ხორციელდება თანამშრომლების გადამზადება კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად.		
12.1	სახელმძღვანელო	მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვის კულტურა, რათა თანამშრომლებმა ყოველგვარი შურისძიების შიშის გარეშე შეძლონ საკითხის წამოჭრა უჩვეულო ან საეჭვო საქმიანობის შესახებ.		

ეს ნაწილი ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომლებიც ფილიალებს და შვილობილ კომპანიებს ფლობენ

12. შესაბამისობა ჯგუფის დონეზე

საგანი	ტიპი კანონი/სახელმძღვა ნელო მითითება)	მოთხოვნა	სტატუსი (დამაკ./მიმდინარე/პ როექტი/არადამაკ.)	მითითება
12.1	კანონი	არსებობს ინფორმაციის გაზიარების პროცედურა.		
12.2	კანონი	არსებობს კონფიდენციალურობის დაცვის მექანიზმი ინფორმაციის გაზიარებისას.		
12.3	კანონი	ფილიალები და შვილობილი საწარმოები (სადაც ადგილობრივი მოთხოვნები ნაკლებად მკაცრია) უნდა იყენებდნენ საქართველოს კანონის მოთხოვნებს იმ დონემდე, როგორც ადგილობრივი კანონმდებლობით არის ნებადართული.		
12.4	კანონი	საზედამხედველო ორგანო ინფორმირებულია იმ შემთხვევების შესახებ, თუ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების ვალდებულებები არ სრულდება.		
12.5	კანონი	მიღებულია ზომები ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის ეფექტური მართვის მიზნით, თუ ფილიალებისა და შვილობილი საწარმოების ვალდებულებები არ სრულდება.		